საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 5 დეკემბერი, 1919 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, [illegible] ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 4 მანეთი. მეოთხე გვერდზე— 3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 26.
ტელეფონი 16—62.

№ 278 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 278

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილები: ვარლამი, ოლღა და ნინო; რძალი ნადეჟდა; სიძეები: ამბაკო გოთოშია და სამსონ მახათაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი ძვირფასი მამის, მეორე—მამამთილის, მესამენი—სიმამრის

ალექსი მიქელის ძე რუხაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება კვირას, 7 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე ს. ქუტირში. (ნ. 1—1)

ანნა სულხანიშვილისა შვილებით: ცირა, ნორა, ნინა, ფარნაოზ თავზარდაცემულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ძვირფასი მეუღლის, ხოლო მეორენი საყვარელი მამის

ნიკოლოზ სულხანიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე ქაშვეთის ეკლესიაში დილის 11 ნახ. ს. და სად. 6 საათზე. (ნ. 3—1)

ქართული სამუსიკო საზოგადოების გამგეობა გულითადი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას გამგეობის წევრის კომპოზიტორ

ნიკოლოზ სულხანიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესიაში ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება კვირას 7 დეკემბერს. (ნ. 3—1)

ქართულ სამუსიკო საზოგადოების სამუსიკო კოლეგია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას აუნაზღაურებელ წევრის და თანამშრომლის კომპოზიტორ

ნიკოლოზ სულხანიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათ. ქაშვეთის ეკლესიაში. (ნ. 3—1)

სახელმწიფო კანტროლის მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობთ მათი თანამოსამსახურის

ლუკა სოლომონის ძე ფევზაიას

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას ქ. თფილისში თავის ბინაზე, დიდი მთავრის ქ. № 19, ბინა 3. (3184—1—1)

ღრმათ დამწუხრებული ბაგრატ იოსების ძე, ელენე დიმიტრის ასული და ქეთევანი ბაგრატის ასული ლითანიშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 2 ქრისტიშობისთვეს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი და, მეორის—მული, ხოლო მესამის—საყვარელი მამიდა

ელენე იოსების ასული მღებრიშვილისა

გამოსვენება მოხდება პარასკევს, 5 ქრისტიშობისთვეს დილის 10 ს. საკუთარ ბინიდან—მალაკნის ქ. № 32, ქათოლიკების პეტრე პავლეს ეკლესიაში, წირვის გადახდის შემდეგ დაკრძალავენ კუკიის სასაფლაოზე. (3183—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ეკატერინე, ძმა ვასილი, და დარო ჭკუასელები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაღიკულად გარდაცვალებას ძვირფასი

ანნა რემანოზის ასული ჭკუასელისას

მიცვალებულს გამოასვენებენ მიხეილის საავადმყოფოდან, დღეს 2 ს. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (3187—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: იოსებ, ქეთევან, ძმები: ანტონი და ვასილი ლითანიშვილები, დეიდები: ეფემია ყანდინაშვილისა და მარიამ ფაფაზაშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 2 დეკემბერს 1919 წ. გარდაიცვალა სიცოცხლეში დაუვიწყარი

ელენე იოსების ასული მღებრიშვილისა

გამოსვენება პარასკევს, 5 დეკ. საკუთარ ბინიდან დილის 10 საათ. ქართველ ქათოლიკეთა პეტრე პავლეს ეკლესიაში (ნიკოლოზის ქ.) სადაც გადახდილ იქნება წირვა. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (3183—1—1)

ღრმათ დამწუხრებული იოსებ ანტონის ძე ბერძენიშვილი შვილებით: თამარა, დიტო და ტუხუთი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას, პირველის ძვირფასი მეუღლის და მეორენის საყვარელი დედის

მარუსია ლუკას ასულის ბერძენიშვილისას

დასაფლავება ქალაქ ქუთაისში დღით შაბათს, 6 დეკემბერს, საფიჩხიის სასაფლაოზე (3191—2—1)

მწუხარებით გულდამწვარნი ნატაშა ქლენტისა, ნინო ბიბინეიშვილისა, აბესალომ ქლენტი და გიორგი ბიბინეიშვილი თავიანთი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, 7 ქრისტეშობისთვეს დღითი კვირას სოფელ საჯევახოში, ჩომეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ დაკარგულ პირველი და მეორის ძმისა მესამეს და მეოთხის ცოლის ძმისა ხოლო მეხუთენი ბიძისა

ტარიელ მელიტონის ძე ყენიასი

სულის მოსახსენებლად. რომელიც მოკლულ იქმნა ჩოხატაურში ბალშევიკებთან შეტაკების დროს. (3186—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი ლუბა და კარპეზ ქლენტები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 7 ქრისტეშობისთვეს დღითი კვირას სოფელ საჯევახოში ჩომეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი პირველი ძმის და მეორე კი ცოლის ძმის

ტარიელ მელიტონის ძე ყენიასი

სულის მოსახსენებლად. რომელიც ჩოხატაურში ბალშევიკებთან შეტაკების დროს ტრაღიკულად დაკარგულ იქმნა. (3186—1—1)

ამერიკის ქონებათა დამცველი რაზმი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს თავის თანამშრომლის და ძვირფასი ამხანაგის

ივანე სიმონის ძე დოლიძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. მიცვალებული წაასვენეს 4 დეკემბერს, ს. ამაღლებაში (გურია), სადაც იქნება მისვენებული 5 დეკემბერს. (3188—1—1)

ჟურნალი

„ცისარტყელა“

გამოვა 20 დეკემბერს (პირველი ნომერი)

ვსთხოვთ მწერლებს დააჩქარონ მასალების გამოგზავნა, პირველი ნომრისთვის მასალები მიიღება 6 დეკემბრამდის. მისამართი: ელისაბედის ქ. № 200, რკ. გზის ცენტრ. კულტურულ-განმანათლებელ კომისიას. ჟურნალ „ცისარტყელა“ სათვის.

სარედაქციო კოლეგია.

(უფ. 3—3)

ზუბალაშვილის სახალხო თეატრი

ქართულ სამუსიკო საზოგადოების

საქარ. ცენტრ. კოოპერატ. კავშირის

ქართული საოპერო სტუდია

ორშაბათს, 8 დეკემბერს მართავს ოპერას

თქმულება შოთა რუსთაველზე

მუსიკა დ. არაყიშვილისა. (ნ. 3—2)

სახალხო სიმღერა გალობის კურსები

მიხეილ კავსაძისა

ვორონცოვთან, მაისურაძის სამკითხველოსთან, („ბო მონდი“), სამშაბათობით და პარასკ. სღ. 5—8 საათამდე. (3177—3—2)

რაჭის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს სამსახურში

4 უბნის ექიმს, 2 ექიმის თანაშემწეს და 2 ბებია ქალს

სასოფლო საექიმო პუნქტებზე.

ექიმის ჯამაგირი 3500 მან., ექიმის თანაშემწისა—2000 მ., ბებია ქალის 1500 მ. მისამართი: ონი, რაჭის სამაზრო ერობის გამგეობას. (3—3)

ამიერ-კავკასიის ბანკი

აცხადებს, რომ ამა წლის 28 გიორგობისთვეს გაიხსნა ბათუმში მისი

განყოფილება,

რომელიც ყველა საბანკო ოპერაციებს აწარმოებს. (ნ. 2—2)

ქ. თფილისის მოსამსახურეთა და მომუშავეთა საყურადღებოდ

სასურსათო განყოფილება თფილისის ქალაქის გამგეობისა, თანახმად შრომის და მომარაგების სამინისტროს დავალებისა, შეუდგა სასურსათო წიგნაკების და პურის ბარათების დარიგებას მომუშავეთა და მოსამსახურეთათვის, რომლებითაც მიეცემათ სურსათი სახელმწიფო მომარაგების ფონდიდან.

დაწესებულებანი, ქარხნები და სამრეწველოები მოვალენი არიან სასწრაფოდ წარმოადგინონ სასურსათო განყოფილებაში (დამფუძნებელ კრების და შტაბის ქუჩის კუთხე) სია მოსამსახურეთა და მომუშავეთა და მათი ოჯახური შემადგენლობისა (ცალკე ჩამოთვლილ უნდა იყოს მათი სახელი და გვარი), მათი პასპორტები ან პიროვნების სხვა მოწმობები, ბინის წიგნები და აგრეთვე საალფავიტო ბარათები, შედგენილი ოჯახის თვითეულ წევრზედ ცალკე.

შენიშვნა: ოჯახის წევრებად ითვლებიან: დედ მამა შრომის უნარს მოკლებულნი, ძმები 17 წლამდე, საზრუნავი დები და შვილები.

საალფავიტო ბარათები მოთხოვნილებისთანავე ეძლევათ დაწესებულებებს და სამრეწველოებს სასურსათო განყოფილებიდან 15 დეკემბრამდე ა/წ.

წიგნაკები და ბარათები, დამზადებული სიების მიხედვით, მიეცემათ სამრეწველოების და დაწესებულებათა წარმომადგენლებს მომუშავეთა და მოსამსახურეთათვის დასარიგებლად.

შეძლების დაგვარად მოწყობილი იქნება ბარათების და წიგნაკების დარიგება დიდ ქარხანა-სამრეწველოებში ადგილობრივად.

სიები შემოწმებულ უნდა იქმნან სამრეწველოების და დაწესებულებათა უმფროსების მიერ და აგრეთვე პროფესიონალურ კავშირის გამგეობის მიერ.

ყველა ყალბი ცნობების მომცემნი სურსათის ხვედრის ზედმეტად მიღებისათვის მკაცრად დაისჯებიან.

(ნ 2—2) მუშათა მომარაგების რწმუნებული.

თფ. მომხმარებელ საზ. „ალორძინების“ გამგეობა

ამით აცნობებს საზოგადოების რწმუნებულებს, რომ კვირას, 7 დეკემბერს, დილის 10 საათზე პროფესიონალურ კავშირების ბინაზე (ბარიათინის და რუსთაველის პრ. კუთხე, № 9, არამიანცის სახლი)

დანიშნულია **საზოგადოების რწმუნებულთა**

საზოგადო კრება

გასარჩევი კითხვები: 1) რწმუნებულთა არჩევნების დამტკიცება, 2) გამგეობის მოხსენება საზ. მოქმედების შესახებ 1918 წ. და ამავე წლის ანგარიში, 4) წესდების ზოგიერთი მუხლების გადასინჯვა. 5) ახალი გამგეობის კონსტრუქცია, 6) გამგეობის არჩევა და 7) მიმდინარე კითხვები.

არჩეულ რწმუნებულთა სიები გამოკრულია საზოგადოების ყველა მაღაზიებში.

(ნ. 3—1) გამგეობა.

იმპერიალიზმის რკალი

გენერალ დენიკინმა ყუბანის სახელმწიფოს გადატრიალების შემდეგ გამოსცა ბრძანება, რომელშიაც ის ამართლებს თავის ნამოქმედარს და სხვათა შორის რადის მესვეურებს იმაში სდებს ბრალს, რომ ისინი მეგობრულ განწყობილებაში იყვენ იმ მოღალატე განაპირა ქვეყნებისადმი, რომელნიც რუსეთს გამოეთიშნენ. ამიტომ, განაგრძობს გენერალი, მე იძულებული ვიყავი მეხმარა ძალა დამნაშავეთა წინააღმდეგო. ამგვარათ დენიკინის სიტყვით განაპირა ქვეყნები, მათ შორის საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანიც, ეს დამოუკიდებელი სახელმწიფონი კი არ არიან, არამედ რუსეთიდან მოღალატურათ გამოთიშული მხარეები და თუ დღეს დღეობით ისინი ფაქტიურათ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ცხოვრებას ატარებენ, ეს მხოლოდ დროებითია, ეს, ასე ვთქვათ, მოღალატური ამბოხების გახანგრძლივებული პროცესია, და როდესაც რუსეთის პომეშჩიკები ღონეს მოიკრეფენ, ამ ამბოხებულ და მოღალატე განაპირებს კიდევ უფრო მეტ შავ დღეს დააყენებენ. ასეთია ნიკოლოზისა და რასპუტინის ყოფილ გენერალ-ადიუტანტთა არა იდუმალი, არამედ გამოაშკარავებული ზრახვანი. ამგვარათ ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს ყავს დაუძინებელი მტერი, რუსეთის ნაციონალისტური რეაქცია. და თუ ის ეხლავე პირდაპირ არ გვესხმის თავს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის ჯერჯერობით ისტორიას არ მიუცია შესაფერი რქა.

ყოფილ რუსეთის განაპირა ქვეყნების დამოუკიდებლობას ვერ ურიგდება ვერც რუსეთის ბალშევიზმი. ამას წინად გაზეთი „ტანი“ სწერდა, რომ რუსეთის კომუნიზმის ცენტრალისტობა ბევრად სჭარბობს რუსეთის მეფეთა ცენტრალიზმსო. საფრანგეთის ბურჟუაზიული გაზეთის აზრი ამ შემთხვევაში სავსებით სწორია. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვის კომუნიზმზე უფრო ცენტრალისტური და იმპერიალისტური პოლიტიკური მიდრეკილება არ იცის ახალმა ისტორიამ. ბალშევიზმის ბუნება-მდგომარეობა იმგვარია, რომ ის უნდა ვრცელდებოდეს განუწყვეტლივ, ანდა უნდა აღმოიფხვრას, მას არ შეუძლია არა კომუნისტურ ქვეყნის მეზობლობა. ან კომუნისტურმა ცეცხლმა უნდა ამოაშროს მის ირგვლივ არსებული ბურჟუაზიული ოკეანე, ან ამ ოკეანემ უნდა დააქროს ეს ცეცხლი. მათი მორიგება შეუძლებელია. კომუნიზმი თავის მდგომარეობით აგრესიული უნდა იქნეს, ის, ასე ვთქვათ, ახალი ისლამია, თუ გნებავთ მასში მრავლად მოიპოვება ისლამისებური ფატალიზმიც. რუსეთის რეაქციონერთა ერთმა ნაწილმა კარგათ შეიგნო ბალშევიზმის იმპერიალისტური ხასიათი. მრავალი მათგანი, სხვათა შორის, წითელი არმიის გენერლები ამტკიცებდენ და ახლაც ამტკიცებენ, რომ ბალშევიზმი აღადგენს რუსეთს, გაამთლიანებს მას და შეიძლება ახალი ქვეყნებიც კი შამოუერთოსო. რა უყოთ, რომ სოციალურ კითხვებში ისინი ბაშიბუზუკები არიან, მათი სოციალისტობა მალე გამოილევა. წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიან. მათი კომუნიზმი გამოიფიტება, გადაგვარდება, ხოლო მათი ფანატიური ენერგიის წყალობით გამთელებული და გავრცელებული რუსეთი კი დაგვრჩება; განა ქრისტიანობა ეს ერთგვარი კომუნიზმი არ იყო მაშვრალთა და ჩაგრულთა; ქრისტიანობის დროშის ქვეშ რამდენი წარმატება და გამარჯვება მოიპოვა მისმა მესვეურებმა, ის მაშვრალთა სარწმუნოება იყო, მაგრამ მალე მოშინაურდა და ამ ქვეყნის ძლიერთ არაფერი არ დაუკარგავთ—ქრისტიანები დარჩნენ, მაგრამ ქრისტიანიზმი გაქრაო. დაახლოვებით ასე აზროვნობენ და მსჯელობენ რუსეთის ნაციონალისტთა ერთი ჯგუფი. დაახლოებით ამავე აზრს იზიარებდა ერთ დროს ცნობილი პურიშკევიჩიც. რუსეთის კომუნიზმი საერთოთ მეტათ ჭრელი და რთული პოლიტიკურ ეკონომიური მოზაიკაა, და მასში შესაფერი ადგილი უჭირავს რუსულ ნაციონალიზმის ელემენტებსაც.

თფილისში ახლად აღმოჩენილ ბალშევიკურ საბუთებში, რომელიც ახლო მომავალში გამოქვეყნდება, სხვათა შორის მოიპოვება მოსკოვიდან გამოგზავნილი ბარათი, რომელშიაც ატყობინებენ ადგილობრივ კომუნისტებს, რომ მოსკოვმა გადასწყვიტა დიდი და უმთავრესი ყურადღება მიექცეს სამუსულმანო აღმოსავლეთს. მათი მიზანია კომუნისტური რევოლიუციის ცეცხლი გადაიტანონ სპარსეთ, ოსმალეთ, ავღანისტან ინდოეთში და საოპერაციო ბაზათ არჩეული აქვთ ამიერ კავკასია, სადაც განძრახულია გადატრიალების მოხდენა და ამგვარათ ჩვენი რუსეთთან შეერთება. ამ მიზნისათვის ისინი აბამენ კავშირის ძაფებს ოსმალეთის ზოგიერთ წრეებთან. რომ საქართველოსა და საერთოთ ამიერ კავკასიის ირგვლივ იხლართებოდა და იხლართება რთული საერთაშორისო ინტრიგის ქსელი, ამას წინათაც იგრძნობდა დაკვირვებული ადამიანი. დღეს კი ეს აშკარაა. ბალშევიკები, რომ ფაშებს კი არა, ვისაც გინდა იმას შეუკავშირდებიან თავიანთ მიზნების განსახორციელებლათ, ეს დიდი ხანია ცნობილია. მათთვის ყოველივე საშუალება მისაღებია ისიც ვიცით, რომ ბალშევიზმი სახელმწიფოს გაკოტრების თანადროული ფორმა, ის ასე ვთქვათ უკანასკნელი „სტავკაა“. ბალშევიკური რევოლიუცია უნგრეთში გაკოტრების ფორმა იყო, ის იყო უკანასკნელი „სტავკა“ ანტანტასთან ბრძოლაში. გერმანიაც ხანდახან აშინებდა ანტანტას — კმარა, დამანებე თავი, თორემ წავხდები და შენც წაგახდენო, სპარტაკელებს გადავცემ სახელმწიფო საქმესო. რა გასაკვირველია, რომ ოსმალეთის ხელისუფლებმაც იმ აუტანელ მდგომარეობაში, რომელშიც ეს ქვეყანა ჩავარდა, სცადოს ბალშევიზმით ხელის გამობრუნება და ამ მიზნით რუსეთის კომუნისტებთან გააბას ძაფი.

ამგვარათ ამიერ კავკასიის ირგვლივ მხოლოდ მისდამი მტრულათ განწყობილი მეზობლებია. ყოველ მხრით საფრთხე მოელის ჩვენ ახალ რესპუბლიკებს და მათ მეთაურთ ისტორია ავალებს მეტ სიფხიზლესა და სისწრაფეს მტკიცე კავშირის, მოგერიებითი კავშირის, შეკვრისა და განმტკიცების საქმეში.

დეკემბრის ათს ქ. ბაქოში იწყება სომხეთ-აზერბეიჯანის მოლაპარაკება.

ამიერ კავკასიის კონფერენცია შორს გადასადები არაა.

შენიშვნები

VII

ფედერალისტების ეკონომისტი.

გთხოვთ იცნობდეთ—ფედერალისტების ეკონომისტი ბ. თედო ღლონტი.

გახსოვთ ალბათ ძველი „ეშმაკის მათრახის“ ერთი კარიკატურა. ცელქი მოწაფე მასწავლებელს მუდამ აჯავრებს. მასწავლებელმა იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი ვერა მოიგონა რა, რომ დასვა სკამზე და ხელში თედოს ნაწერები მისცა საკითხავათ. ბავშვის ტანჯვას საზღვარი არ ჰქონდა და იმის შიშით, რომ მეორეთ არ დაესაჯათ თედოს ნაწერების კითხვით, ერთხელ და სამუდამოთ ცელქობას თავი გაანება.

ჩვენც დაგვსაჯა ბედმა. მართალია არ ვცელქობთ, მარა პროფესია გვავალებს მისი ნაწერების კითხვას, თუმცა ვცუდლუტობთ კი ძლიერ.

ბ. ღლონტი ამ ჟამათ „სახალხო საქმეში“ „პუბლიცისტობს“. მას ბედმა დეპუტატობაც არგუნა და მისი სახით დამფუძნებელი კრება სასტიკათ დასაჯა. ბ. ღლონტს ერთობ უყვარს გრძელი წერილების წერა. არა ნაკლებ უყვარს გრძელი ლაპარაკიც. მას ვერ შეგნებია ვერავინ, რომ „გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის, შაირია ამათ კარგი“. ამ შაირობას ის მთელ საათებს ანდომებს დამფ. კრებაში და მისგან ტანჯული დეპუტატები ღმერთს ემდურიან თავის გაჩენაზე. რა საკითხზე გინდა რომ მან არ გააბას შაირი გლახა ქრიაშვილივით. მასალაც ბლომათ აქვს, რადგან ლაპარაკობს ყველაფერზე, რისთვისაც კი ყური მოუკრავს. ამასაც არ კმარობს და იმავე საგანზე ვეება წერილით უმასპინძლდება „სახალხო საქმის“ მკითხველს. ყოველ თავის სიტყვაში, ყოველ თავის წერილში ის იმოწმებს ერთ დიდ ავტორიტეტს. ესაა—ბ. თედო ღლონტი და მისი წინანდელი ნათქვამი თუ ნაწერი. ამით ის დიდათ კმაყოფილიცაა.

უმთავრესათ ის ეტანება ეკონომიურ და ფინანსიურ საკითხებს და უნდა ითქვას, დიდ ცოდნასაც იჩენს. ყველა თავის სიტყვაში თუ წერილებში სოციალ დემოკრატიულ ფრაქციის რიხით და თავშომწონეთ მიმართავს: ხომ დაგამტკიცე თქვენი და თქვენი მინისტრების „უვიცობა“, „უბადრუკობა“, „სიყალბე“ და სხვადასხვა.

დღეს

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის ლიტვინოვის განცხადებით რუსეთს სურს ეკონომიურ სფეროში ინგლისთან და ამერიკასთან მუშაობა.

გერმანული პრესის ცნობით აზრათ აქვთ ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების გადადება.

მოკავშირეთა წინადადებით უნგრეთმა უარი უნდა განაცხადოს იმ უფლებებზე, რომელიც ავსტრო-უნგრეთს ჰქონდა ფიუმეზე; ფიუმე არც ერთ სახელმწიფოს შემადგენლობაში არ შევა.

ბოლშევიკების ცნობით გერმანიაში მთავრობის კრიზისს მოელიან. შესაძლებელია მთავრობიდან სოციალისტების გასვლა.

კლემანსოს აზრით სამხედრო ტყვეთა საკითხით გერმანიას სურს საზოგადოებრივი აზრი შექმნას მოკავშირეთა წინააღმდეგ.

მკითხველი თუ მსმენელი ამ ტრაბახს მხიარული რეპლიკებით ეგებება. ეს კი დევ უფრო ათამამებს ჩვენს ავტორს და ამ ბოლო დროს ისე აიშვა თავი, რომ მისი სიტყვების კორიანტელი, ფაქტების დამახინჯება, უშვერი სიტყვებით ლაზღანდარობა ყოველივე საზღვარს გადასცა და ეს გვავალებს ამ ყმაწვილს მისი ადგილი მიუჩინოთ.

თავის უკანასკნელ იერემიადაში ის თავისებური უდიერობით და ყოყლოჩინობით თავს დაესხა ფინანსთა მინისტრს კ. კ. კანდელაკს, რომელმაც უკანასკნელ ემისიის გამოთხოვის დროს ბ-ნ ღლონტის „ორ სართულიანი" სიტყვის შემდეგ ციფრებით ხელში ასე იოლათ დაარღვია მთელი მისი ნაცოდვილევი. ბ ნმა ღლონტმა დავა „სახალხოში" გადაიტანა და მინისტრის ლანძღვით გული მოიფხანა. ამხილა იგი „უცოდინარობაში", ფაქტების „დამახინჯებაში" და ამის დასამტკიცებლათ თვით დაამახინჯა და დაუმალა მკითხველს ფაქტები და ციფრები.

მინისტრმა კანდელაკმა აღნიშნა თავის სიტყვაში, რომ ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბონები ჩვენი ვალია და ეს ვალი სულზე შვიდას მანეთამდე ადის. მარა ასეა არა მარტო ჩვენში. საფრანგეთშიაც კი სახელმწიფო ვალი სულზე მეტი მოდისო. ბ ნმა ღლონტმა ეს ადგილი ასე განუმარტა მკითხველს: კანდელაკმა აღარ მოიგონა, რომ ჩვენში ბონების გარდა **რუსეთის ფულის ნიშნები** (ხაზი ჩვენია) თითქმის ერთი მილიარდი ტრიალებსო და დაასკვნა: დახეთ მინისტრის უცოდინარობას, დახეთ მის სიყალბესო!

„სახალხო საქმის" რედაქციაში რომ მართლა იყოს ერთი ჭკვიანი კაცი, აუხსნიდა ამ უებრო „ეკონომისტს", რომ თუმცა ჩვენში რუსეთის ფულის ნიშნები ბევრია, მაგრამ **იგი არ არის ჩვენი ვალი** და მისი **პასუხისმგებლობა** ჩვენთვის ისეთ **მოვალეობას არ შეადგენს**, როგორც ჩვენ მიერ გამოცემული ბონებისა. (მოიგონეთ „კერენკების" ამბავი) რუსეთის ფულის ნიშნების რაოდენობის პასუხისმგებელი ისაა და მას მოეთხოვება ვინც ის გამოუშვა, და არა ჩვენ. კაცმა ეს უბრალო რამე არ იცოდეს და ეკონომისტობას კი ჩემობდეს, ეს მხოლოდ „სახალხო საქმის" რედაქციაშია შესაძლებელი!

კიდევ უფრო საინტერესო იყო ბ. ღლონტი „სიბუნიონზე" შეკითხვის დროს. მან მთელი საათი ილაპარაკა, მარა ილაპარაკა ისე, რომ თვით შემკითხველი ნაციონალ დემოკრატები ემუდარებოდნენ: „გააჩერე თავი, რასაც მეტს იტყვი, მით უარესიაო!" (ნიკოლაძის რეპლიკა) და მართლაც, ჯერ იყო და პროექტი ხელშეკრულებისა, რომელსაც „ერთმა ჯგუფმა" ხელი არ მოაწერა, ამ „ჯგუფის" წინადადებით უნდა გაესაღებია. მერე პროცენტი მოგებიდან და პროცენტი საქონლის საერთო ღირებულებიდან ისე აურია ერთი მეორეში, რომ დეპუტატები ადგილებიდან უძახდნენ: „ჩაიხედე მაგ ქაღალდში რა გიწერიაო". ამ სკანდალის შემდეგ ოდნავ თავის თავის პატივისმცემი კაცი დაუკვირდებოდა თავის წინ დაუხედაობას, დაირცხვენდა და გამოსწორებას შეეცდებოდა. ბ. ღლონტი კი ღლონტურათ მოიქცა, ის გამოგვიდავა, რომ გალმა შერჩეს, მარა რადგან ჩვენ არ ვართ ჩვეული ვინმეს რამე შევარჩინოთ, იძულებული გავხდით წავეკითხა მისი უკანასკნელი წერილიც, რომელშიაც მან ჩვეულებრივი დილეტანტობით აკინძა ფაქტები, გამოიყვანა მისთვის საჭირო მოგება, (როგორ გამოიანგარიშა ეს მოგება, როცა არ იცის თუ რა ფასს დაადებდა საქონელს „გლავსნაბი"?) გაუკეთა შესაფერი დასკვნა და ერთხელ კიდევ უშვერი სიტყვებით გაუმასპინძლდა არსენიძეს, ჯაფარიძეს, ელიავას და განსაკუთრებით კი ფინანსთა მინისტრს—კ. კანდელაკს. ალბათ ფიქრობს, რომ ამ ხმაურობაში და ლანძღვა გინებაში დამალავს თავის უკადრის საქციელს!

საინტერესოა ვიცოდეთ—ფედერალისტების პასუხისმგებელი პირები კითხულობენ თუ არა ბ. ღლონტის წერილებს და თუ კითხულობენ, იზიარებენ თუ არა?

შეიძლება ამაყობენ კიდეც, რომ „ღმერთსა მათთვის მიუცია" ასეთი განსწავლული „ეკონომისტი" სწორეთ ისე, როგორც ამაყობენ ნაციონალ-დემოკრატები ბ. ასათიანის „ფინანსისტობით"...

განი.

დამფუძნებელი კრება

3 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ს. მდივანი.

თავმჯდომარე: წინა სხდომაზე დაუმთავრებელი დაგვრჩა საკითხი ტყის მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ, უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს გ. ნინიძეს.

გ. ნინიძე. ჩვენი აგრარული კანონმდებლობის თვალსაზრისით სრულიად მარტივმა საკითხმა აქ გამოიწვია პრინციპიალური დავა. პრინციპიალური არა იმ მხრით, რომ ვითომდა მოწინააღმდეგებმა წამოაყენეს რაიმე პრინციპიალური მოსაზრებები, არა, ეს არ ყოფილა. რაც აქ წამოაყენეს ს. ფედერალისტებმა ის ჩვენი აგრარული კანონის უარყოფაა, ვეშაპელმა კი სთქვა: აგრარული კანონი სულელურიაო, ღლონტი კი ამბობდა: ეს ახალი დეკრეტი ანარქიის სათავეთ გადაიქცევაო. არც ერთი მათი მოსაზრებები არამც თუ მართალი არ არის, არამედ სრულიად დაუსაბუთებელია. სანამდის არსებითად პასუხს გავცემდე დეკრეტის მოწინააღმდეგეთ, ერთი ფაქტიური განმარტება უნდა გავაკეთო. ბ. ღლონტმა სთქვა ამ ტრიბუნიდან, რომ ეს დეკრეტი ნაჩქარევათ არის შედგენილი. ბ. ღლონტი აგრარული კომისიის წევრია და მას უნდა სცოდნოდა, რომ 2 თვეა, რაც ეს დეკრეტი ირჩევა კომისიაში და მე მგონია, რომ ეს დრო სრულიად საკმარისი იყო ამ საკითხის ყოველმხრივ გასარკვევათ. არც ის არის მართალი რომ ამ საკითხის ჯეროვანად გასაშუქებლად ვითომდა მეცნიერულად დამუშავებული მასალები არ ჰქონდეს კომისიას. უნდა მოგახსენოთ, რომ სტატისტიკური მასალების საჭიროებას განსაზღვრავს თვით საგანი, საკითხი, რომელიც ირჩევა. ამ შემთხვევაში არ იყო საჭირო მასალები საერთოდ საქართველოში მიწათმფლობელობის და მის რაობის შესახებ. აგრარული კომისიის მიზანი იყო მიწათ-მოქმედების სამინისტროსათვის მიეცა ერთნაირი ხაზი აგრარულ რეფორმის გატარებისათვის, განემარტა და შეევსო ის მუხლები, რომლებიც ტყის მფლობელობის და სარგებლობის საკითხს ღიათ სტოვებდენ. 1917 წ. 16 დეკემბრის კანონის მეხუთე მუხლში სწერია, რომ ტყეები არ იქნება განაწილებულიო. ეს მუხლი სამინისტროს აძლევდა უფლებას ყველა ტყეები სახელმწიფო საკუთრებათ გამოეცხადებია. აგრარულ კომისიას არ შეეძლო ამ გარემოებისათვის ყურადღება არ მიექცია და სათანადო განმარტებით განსაზღვრული ხაზი არ მიეცა სამინისტროსათვის. ჩვენ გამოვდივართ იმ უბრალო და მარტივ მოსაზრებიდან, რომელიც ამბობს, რომ სანამ სახელმწიფოს შესაფერი აპარატი არ ექნება, მანამდე სახელმწიფოში ეკონ. ურთიერთობა არ შეიძლება არსებითად შეიცვალოს. ჩვენ ვცვლით ისეთ რამეს, რომლის ცხოვრებაში გატარება შეიძლება. ჩვენ არ გვინდა დავემსგავსოთ იმ გმირს, რომელიც ქარის წისქვილებს ებრძოდა (ურატაძე: დონკიხოტს, არა?) ვინც კაბინეტში შეთხზული გეგმებით ფიქრობს ცხოვრების მოწყობას იმას დემოკრატიაში ადგილი არ უნდა ქონდეს.

ჩვენ მიღებული გვქონდა ერთი პრინციპი: ამ პრინციპით გლეხებს მიწა ეძლევათ კერძო საკუთრებათ. ეს პრინციპი ამ შემთხვევაშიაც უნდა იქნას დაცული (ლ. შენგელაია: ეს ნაც. დემოკრატების აზრია). თქვენ უნდა იცოდეთ, ბ. ლეო, რომ ნაც. დემოკრატები მოითხოვდენ მემამულეებისაგან მიწის გამოსყიდვას, ჩვენ კი მათ ჩამოვართვით უფასოთ. (ასათიანი: რათ ჰქენით მერე? შენგელაია: მათ თქვენ მოგცათ ხმა!) საქმე იმაში კი არ არის თუ ჩვენ ვინ მოგვცა ხმა, არამედ საქმე იმაშია, ჩვენ მივეცით თუ არა ხმა. თუ ვინმე იძულებული იყო ჩვენთვის ხმა მოეცა, ეს ჩვენს საწინააღმდეგოთ არაფერს არ ლაპარაკობს. კერძო საკუთრებას ნაც. დემ. იცავენ გაბატონებული კლასისათვის, ჩვენ კი ხალხის უმრავლესობისათვის.

წარმოდგენილი დეკრეტი ცხოვრების მოთხოვნილებებითაა გამოწვეული. არის ერობების შუამდგომლობა და სხვა. ჩვენ ამ დეკრეტით მხოლოდ ხალხის დიდი უმრავლესობის სურვილებს და ინტერესს ვაკმაყოფილებთ. ეს დეკრეტი თავის თავად ახალს არაფერს არ ქმნის, დეკრეტით არ შეიძლება ახალი ურთიერთობის შექმნა, როგორც ეს ღლონტს გონია. ის რომ ჩაუკვირდეს თავის წინადადებას, დაინახავს, რომ მისი წინადადება—ყველა მიწების მსხვილი ორგანოების და სახელმწიფოს ხელში გადასვლა—გამოიწვევდა საშინელ ანარქიას.

გარდა ამისა, ჩვენ არ გვინდა, რომ გლეხები იმაზე უარესს მდგომარეობაში იყვნენ, ვინემ რევოლიუციამდე იყვნენ. გლეხებმა უნდა ისარგებლონ ტყით ისე, როგორც ამით სარგებლობდენ რევოლიუციამდე.

რაც შეეხება სოც. ფედერ. განცხადებას, რომ ამ დეკრეტით აზნაურებს მიეცემათ მიწაო, ეს მართალი არ არის. და თუ ვინმეს ასეთს მიეცა მიწა, ჩვენ ამისი წინააღმდეგი არა ვართ, რადგანაც ნორმაზე ზევით არავის არ მიეცემა მიწა. ისე კი ჩვენ წოდებას კი არ ვებრძვით დღეს, ჩვენ ვებრძვით უსამართლობას. ამ დეკრეტის მოწინააღმდეგეთ არ მოუყვანიათ ისეთი საბუთები, რომელიც უარყოფდეს მის მიღებას, ამიტომ მე აგრარული კომისიის სახელით ვითხოვ, რომ ეს დეკრეტი მიღებულ იქნას.

მუხლობრივი განხილვის შემდეგ მცირე შესწორებებით დეკრეტი მიღებულ იქნა.

გ. თევზაიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახათ ყოველთვიურათ 65,827,720 მან. გადადების დეკრეტის მოქმედების განგრძობის შესახებ. დეკრეტის წინააღმდეგ ილაპარაკა ივ. გობეჩიამ, დეკრეტის წინააღმდეგ ხმა მისცეს სოც. რევოლიუციონერებმა.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საზღვარ გარეთ სწავლა განათლების ან სპეციალურ ცოდნის შესაძენათ გასაგზავნ პირთათვის დამატებით სამი მილიონი მანეთის გაღების შესახებ.

შემდეგ გაგრძელდა მსჯელობა ეროვ. დემოკრატების მთავრობისადმი შეკითხვის გამო „სიბუნიონთან" დადებულ ხელშეკრულების შესახებ. ხელშეკრულების წინააღმდეგ ილაპარაკეს ს. დადიანმა და ალ. ასათიანმა. კამათი დასრულდა რეზოლიუციები წარმოადგინეს ყველა ფრაქციებმა. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია, სოც.-დემოკრატების მიერ წარმოდგენილი.

მოისმინა რა ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის შეკითხვა ამხანაგობა „სიბუნიონთან" დადებულ ხელშეკრულების შესახებ, დამფუძნებელი კრება აღიარებს, რომ მთავრობას ჰქონდა უფლება ასეთი ხელშეკრულების დადებისა, რომ არსებითადაც ხელშეკრულებაში საკმაოთ დაცულია რესპუბლიკის ინტერესები, და გადადის მორიგ საკითხზე.

გრ. ურატაძის მოხსენებით მუხლობრივი განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა კანონპროექტი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ.

პ. ბერიშვილის მოხსენებით ზოგადათ განხილულ იქნა კანონ-პროექტი მუშათა დამზღვევ კანონის მე-65 მუხ. შეცვლისა.

დეპეშები

საქართველოს დეპეშათა სააგენტო

4 დეკემბერი.

ფრანგული პრესის ცნობები

სამხედრო ტყვეების შესახებ გერმანიის მიერ გაგზავნილ ნოტის საპასუხოდ კლემანსომ ფონ ლერსნერის მიმართა წერილით, სადაც სხვათა შორის აღნიშნავს, რომ გერმანიას სურს ისარგებლოს სამხედრო ტყვეთა საკითხით, რათა გერმანიის საზოგადოებრივი აზრი მიმართოს საერთოდ მოკავშირეთა და განსაკუთრებით კი საფრანგეთის წინააღმდეგო

ამერიკულ პრესის ცნობები.

საკითხი ფიუმეს შესახებ უკვე მოწესრიგებულია. დადგენილება უნგრეთის ხელშეკრულებაში იქნება შეტანილი და მისი შინაარსი შემდეგი სახით იქნება გამოხატული: მოკავშირეთა წინადადებით უნგრეთი ყოველგვარ უფლებებზე, რომელიც ავსტრია უნგრეთის სახელმწიფოს ქონდა, ფიუმეზე უარს განაცხადებს. ფიუმე, რადგანაც უნგრეთის ახალ საზღვრებს გარეშე იქნება, არც ერთ სახელმწიფოს შემადგენლობაში არ შევა. მოკავშირეებმა გადასწყვიტეს დროებით გადასდონ საკითხი ფიუმეს სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ.

გერმანულ პრესის ცნობები.

სლოვაკიის ქალაქის სკოლებში გერმანული ენის სწავლება შემოიღეს როგორც არა სავალდებულო საგნის.

ამ მოკლე დროში კობლენცში ამერიკის ფოლადის კავშირის წარმომადგენლებს მოელიან გერმანიის რკინის მრეწველობის წარმომადგენელთან მოსალაპარაკებლად, ამერიკის მასალით გერმანიის ლოკომოტივების შეკეთების შესახებ ნახშირის გადასაზიდვათ.

ბერლინში უკვე მიიღეს სამხედრო ტყვეების შესახებ მოკავშირეთ საპასუხო ნოტა, რომელსაც გადათარგმნის შემდეგ დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებენ.

ინგლისის პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ლიტვინოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთს სურს ერთად იმუშაოს ეკონომიურ სფეროში ამერიკისა და ინგლისთან. ლიტვინოვი უარყოფს ცნობას, თითქოს საბჭოთა მთავრობას გერმანიასთან რაიმე კავშირი ჰქონდეს. პრესის წარმომადგენელთა რჩევაზე, რომ დაუყონებლივ მიმართონ ლოიდ ჯორჯს და მისცენ წინადადება, რომ მან შეკრას ზავი ან დროებით შეთანხმება შეკრას საბჭოთა რუსეთთან, ლიტვინოვი თითქმის დათანხმდა, მაგრამ დასძინა, რომ ეს საკითხი სამ დეკემბრისთვის მოწვეულმა სრულიად რუსეთის კომუნისტური პარტიის კონფერენციამ უნდა გადასწყვიტოსო.

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი შალოი კლემანსოს ესაუბრა, საუბრის საგანი, როგორც ფიქრობენ, ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების გადადებას შეეხებოდა.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის დეპუტატთა პალატის არჩევნებში ელზასიდან არც ერთი სოციალისტი არ აურჩევიათ, სტრასბურგში კი მუნიციპალური არჩევნების დროს სოციალისტებმა 36 ადგილიდან მიიღეს მხოლოდ 17, რადიკალმა—4, ნაციონალურმა ბლოკადმა—15. გერმანიის რეიხტაგის ყოფილი დეპუტატი სოციალისტი პეიროტსი სტრასბურგის ბურგომისტრად იქება.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. დეკ. 3. სამხედრო ცნობა. იამბურგის მიმართულებით უკან დახეული მტრის დევნა გრძელდება. ნარვის მიმართ. მზვერავები მოქმედებენ. ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები. მარიენბურგის მიმართ. ჩვენმა მზვერავებმა მტრის 20 პარტიზანი წამოიყვანეს ტყვეთ. ხელში ჩაიგდეს ტყვიისმფრქვეველები და ტელეფონის ქონება. დასავლეთ დვინაზე მზვერავები მოქმედებენ. სამხრეთის ფრონტი. ჟიტომირ ფასტოვის რაიონში ჩვენმა ჯარმა დაბა ბრუსილოვიდან მტერი შეავიწროვა. კიევის რაიონში მდ. ირპენზე ბრძოლა ცვალებადია. ქვემო დესნაზე ჩვენ ქალაქი ოსტერი ავიღეთ. ქალ. კოზელეცთან და მის სამხრეთ აღმოსავლეთით ჩვენ 100 ტყვეზე მეტი წამოვიყვანეთ. ხელში ჩავიგდეთ 5 ზარბაზანი, 2 ავტო ბრანევიკი, ხუთი ტყვიისმფრქვეველი და სხვა ქონება. ბრძოლით ჩვენ ავიღეთ ქ. მოშნი. სუმის სამხრეთით ოცდა ათ ვერსზე ჩვენ სადგური ბორომლია ავიღეთ. ჩავიგდეთ ხელში ვაგონები. ბელგოროდის მიმართულებით ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ სწარმოებს. ვალუიკის მიმართულებით ნოვი-ოსკოლის ჩრდილოეთით 2 ვერსზე ჩვენი ჯარი მხნედ იბრძვის. ლისკის რაიონში ჩვენი ჯარი რკინის გზის ხაზზე უტევს და ლისკის სამხრეთით 30 ვერსზე გამოვიდა. სოფ ვეშენცევკა (ნოვოხოპერის სამხრეთ დასავლეთით 60 ვერსზე)—სლავეჩევსკაიადან ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით წინ მიიწევს. სლავეჩევსკის დასავლეთით ჩვენ ტყვეები წამოვიყვანეთ, ხელში ჩავიგდეთ ცხენები და სხვა ქონება. ცარიცინის რაიონში ვოლგასა და დონს შუა მკაცრი ბრძოლა გრძელდება. ვოლგის მარცხენა ნაპირის ჩვენი არტილერია ცარიცინის რაიონში მიმავალ მტრის ჯარს ესვრის. ურალსკის რაიონში ჩვენ ჯამბეიტი დავიჭირეთ. ჯარკენტზე შემოტეულ მტრის იერიშებს ტაშკენტის რაზმი იგერიებს. მტერი აღმოსავლეთისაკენ უკუ აგდეს. პავლოდარის რაიონში ჩვენი ჯარი უკან დახეულ მტერს სდევნის. პავლოდარის სამხრეთით 70 ვერსზე ჩვენ მტრის ქონება ხელში ჩავიგდეთ სამხრეთ ციმბირის რკინის გზა სად. პავლოდარიდან აკმოლინსკზე 110 ვერსის მანძილზე შეკეთებულია. მოსამსახურეები თავის ადგილზე დარჩენ. ამ ადგილებში 8 ორთქმავალი, 500 დატვირთული ვაგონი და ნახშირია. ჩვენი ჯარი რკინის გზის ხაზზე სლავგოროდისაკენ მიიწევს, რომელიც წითელმა პარტიზანებმა დაიჭირეს. ბარნაულის მიმართ. ჩვენი შეტევა ვითარდება. 1 დეკემბერს ჩვენმა ჯარმა სადგური და ქალაქი კაინსკი აიღო. წამოიყვანა ტყვეები, ხელში ჩაიგდო 12 ტყვიისმფრქვეველი, 15 ორთქლმავალი, მატარებელი და სხვა ქონება.

დამატებითი ცნობებით ომსკის აღების დროს ჩვენ ხელში ჩავიგდეთ სხვადასხვა სისტემის თოფი 30,959, ტყვიის მფრქვეველები და მიტრალიეზი 897, ბებუთები 11,874, ტყვიები 18 მილიონი, სხვადასხვა კალიბრის იარაღი 34, ყუმბარები 360,125 და სხვა მრავალი ქონება.

ჰელსინგფორსი. გაზეთ „კრეიც ცეიტუნგის" ცნობით გერმანიაში მთავრობის კრიზისს მოელიან. შესაძლებელია, სოციალისტები მთავრობიდან გამოვიდენ.

სმოლენსკი. დეკ. 2. ქ. რიგის გაზეთი „უტრო" იუწყება, რომ დენიკინის წინააღმდეგ გლეხების აჯანყება კიევის, პოლტავის, ეკატერინოსლავის და ჩერნიგოვის გუბერნიიდან გავრცელდა დონისა და ყუბანის ოლქებშიც. როსტოვში მღელვარებას ორგანიზაციული ხასიათი აქვს და მოსალოდნელია ქალაქის და მისი მიდამოების ქარხნებში მუშაობა შეწყდეს.

ახალი ამბები

დღეს საღამოს სრულ 6 საათზე დანიშნულია საქართველოს ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა

◆ **პოლკ. ჰასკელის ჩამოსვლა.** 3 დეკემბერს დილით თფილისში ჩამოვიდა ოჯახით მოკავშირეთა უმაღლესი კომისარი პოლკ. ჰასკელი. სადგურზე მას დახვდენ: უმაღლესი კომისრის შტაბის უფროსი პოლკ. რეი, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ნ. ქარცივაძე, სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენერალი გედევანიშვილი, გზათა დეპარტამენტის დირექტორი ჰეჟინაძე, ადერბეიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი ვექილოვი, პრინცი მიურატი, სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ევანგულოვი, და სხვა. ბაქანზე ჩამომწკრივებული იყო საპატიო ყარაული.

◆ **„ნაციათა ლიგა"-ს საზოგადოება.** ლონდონიდან საგარეო საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო: დეკემბერში ბრიუსელში გაიხსნება „ნაციათა ლიგა"-ს საზოგადოების მესამე კონფერენცია. „ნაციათა ლიგის" თავმჯდომარე წინადადებას აძლევს ქართველ საზოგადოებას „ნაციათა ლიგა" ში გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი.

◆ **კრებალოდან** შემდეგი დეპეშები მივიღეთ. 1) დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს: „დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროს ამხანაგის ალ. ლომთათიძის და მიწათ.მოქმედების მინისტრის ნ. ხომერიკის შესახვედრათ კრებალოში შეკრებილი რაჭა ლეჩხუმის მცხოვრებთა დიდი მიტინგი მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს ბედის ხელმძღვანელს დამფუძნებელ კრებას და მუდამ მზათ იქნება მის მოწოდებაზე უდიდესი მსხვერპლის გასაღებათ". 2) მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას: „კრებალოში შეკრებული რაჭა ლეჩხუმის მცხოვრებთა დიდი მიტინგი თქვენის სახით მიესალმება ქართველი ერის სიამაყეს და სამშობლოს გვირგვინში უძვირფასეს თვალს. იცოცხლეთ დიდხანს და იმედი იქონიეთ, რომ ჩვენი ქვეყნის განაპირა კუთხეშიაც ხალხის ხმას თქვენი სახელი დააქვს თავისი სიყვარულით შემოსილი და მოვალეობად მიაჩნია თქვენს დაძახებაზე უდიდესი მსხვერპლი გაიღოს." თავმჯდომარე **ილია ჰელიძე.**

◆ **თფილისის სამხედრო აღრიცხვის** ნაწილის უფროსმა შემდეგი განცხადება გამოსცა: საყოველთაო საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, რომლებიც დაიბადნენ 1897 და 1898 წლებში და სამხედრო ბეგარა არ მოუხდიათ,—ითვლებიან დეზერტირებათ და კანონის ძალით დასჯილი იქნებიან განსაკუთრებული მკაცრი სასჯელით. რესპუბლიკის თვითეული მოქალაქე ვალდებულია თან იქონიოს სამხედრო ბეგარის შესრულების დამამოწმებელი სათანადო სამხედრო აღრიცხვის განყოფილებებისაგან მიღებული დოკუმენტები.

◆ **სენატში.** შაბათს 6 ამა დეკემბერს მოხდება სენატის კასაციური დეპარტამენტის შეერთებული საკრებულოს სხდომა; სხვათა შორის საკრებულოს აქვს გადაწყვეტილი დაუყოვნებლივ მოახდინოს ყველა სასამართლოების ვრცელი რევიზია.

◆ **მასწავლებელთა გაფიცვა** ქუთაისში, როგორც გვატყობინებენ ყოფილა მხოლოდ 29 ნოემბერს. ამ ჟამათ სწავლა ყველა სასწავლებელში ნორმალურად მიმდინარეობს.

◆ **ქართველ მხატვართა საზოგადოების საშემოდგომო** გამოფენის ვერნისაჟი დანიშნულია კვირას, 7 დეკემბერს, დილის 10 საათიდან. გამოფენაზე მონაწილეობას იღებს 39 მხატვარი.

◆ **კომბოსტო.** საუბნო, სარაიონო და ბინის კომიტეტებს შეუძლიათ კომბოსტოს შეძენა განუსაზღვრელი რაოდენობისა ფუთი 55 მ. ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებაში.

◆ **ნაძალადევის თეატრის** შენობაში 3 დეკემბერს გააკეთა მოხსენება ფინანსთა მინისტრმა ამხ. კ. კანდელაკმა—საქართველოს ეკონომიურ ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ. მოხსენება მდაბიო ენით იქნა წაკითხული. მუშები საკმაოთ დაესწრენ და კმაყოფილნიც დარჩენ მოხსენების შინაარსით.

◆ **დასავლეთ საქართველოს** კოოპერატივთა საკრედიტო კავშირი ოპერაციებს იწყებს 15 დეკემბრიდან. ღებულობს ყოველგვარ ნაბარ ფულს: ვადით უვადოთ და მიმდინარე ანგარიშზე. კისრულობს აგრეთვე ფულის გადაგზავნა-გადმოგზავნას. სცემს მოკავშირე ამხანაგობებზე სესხებს და აწარმოებს სხვა ყოველგვარ საბანკო ოპერაციებს.

◆ **საქართველოს სახაზინო რკინის** გზების კავშირის ცენტრალურ გამგეობის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ნ. ბერეჟიანი (თავმჯდომარეთ), ვიქტორ ცენტერაძე (პირველი ამხანაგი), ვასო სიხარულიძე (მეორე ამხანაგი), მოსე ჭყონია (მდივანი) და ილია ლალიძე [illegible]. ცენტრალური გამგეობამ-გამოყო თავის შემადგენლობიდან [illegible] მისი, რომელშიაც არჩეულ იქნენ: ვ. ცენტერაძე (თავმჯდომარეთ) პავ. [illegible]ლიძე და მოსე ჭყონია (მდივანი).

◆ **ქალაქის სასურსათო განყოფილება** ახურდავებს მანეთს მანეთად „კერენკებს" (250 მ. და 1000 მ.) და „დონის ფულს" (100 მ., 250 მ., 500 მ. და 1000 მ.) ამიერ კავკასიის კომისარიატის ან საქართველოს რესპუბლიკის ბონებზე.

◆ **ახალგაზრდათა კლუბი.** განათლების სამინისტროს ნებართვით თფილისში იხსნება ახალგაზრდათა კლუბი, სადაც წევრებათ შეუძლიათ შესვლა მოწაფეებსაც.

◆ **გაძარცვა.** 3 დეკემბერს, დილის 3 საათზე, დარია მგალობლის ბინაზე, (ციციანოვის ქუჩა № 14), შევიდა 4 შეიარაღებული ბოროტ-მოქმედი მილიციის ფორმაში. მათ განაცხადეს, რომ გამოგზავნილი არიან სისხლის სამართლის მილიციიდან ბინის გასაჩხრეკად. წაიღეს 33,800 მანეთი კერენსკისა და 18,000 მანეთი ამიერ-კავკასიის ბონები და მიიმალენ.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: 2 განყოფილ. (ვერა) 1) ი. ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები", 2) ალ. ჟორჟოლიანი „19 საუკ. ისტორია ევროპისა". 6 განყოფილებაში (ერთობის უბანი) 1) შალამბერიძე „ქიმია". 2) დ. ასათიანი „საფრანგეთის რევოლიუცია" 7 განყ. (საბურთალო) 1) გ. ბარნოვი „ქართული მწერლობა" 2) ი. ანთაძე „საქართველოს ისტორია" 8 განყ. (ავლაბარი) 1) ილ. ნაკაშიძე „სახელოვან ადამიანთა ცხოვრება" 2) ქ. რაჭველიშვილი „სოციალური ბრძოლა ძველ რომში". განყოფილებების წარმომადგენლებმა ინსტრუქციების მისაღებათ უნდა მიაკითხონ თავის ინსტრუქტორებს: ავლაბარი, ორთაჭალა, ცენტრალური განყოფილების ინსტრუქტორია სერ ჟორჟოლიანი; ვერისა და ჩუღურეთის—ალ. ჟორჟოლიანი; ნაძალადევის, საბურთალოს, ერთობის უბნისა და წმ. ნინოს რაიონის იოს. ანთაძე.

◆ **ქალაქის გამგეობის ყურადღება,** გვთხოვენ მივაქციოთ არშაკუნის შესახვევს. ეს შესახვევი რუსთაველის პროსპექტს აერთებს გრიბოედოვის ქუჩასთან. მიუხედავათ იმისა, რომ ის ქალაქის ცენტრია და თვალსაჩინო ადგილი, მეტად უსუფთაოდ არის.

◆ **„ეშმაკის მათრახი".** კვირას გამოვა „ეშმაკის მათრახის" მორიგი ნომერი. თორმეტ ამ თვეს კი რიგს გარეშე „გვარდიის დღის" აღსანიშნავათ სპეციალური ნომერი, რომელშიდაც მოთავსებული იქნება წერილები ჩვენში ცნობილი მოღვაწეებისა, მრავალი სურათებით გვარდიის ცხოვრებიდან და კარიკატურები. ჟურნალი ეღირება 6 მან.. გამყიდველებმა ჩვეულებრივათ უნდა მიაკითხონ კანტორა „განათლებაში".

კრებები

შაბათს, 6 დეკემბერს, მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში საღამოს 5 საათზე, შესდგება რკინის გზის სამმართველოს რაიონის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. დღის წესრიგი: 1) მოხსენება ამხ. აიოლოსი „რევოლიუცია და რკინის გზის ტრანსპორტი", 2) მოხსენება მეორე ყრილობის დელეგატებისა და 3) მიმდინარე კითხვები. სავალდებულოა ყველა ამხანაგების დასწრება.

— 5 დეკემბერს საღამოს 7 ს. დანიშნულია ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობის სხდომა (სლეპცოვის ქუჩა № 4).

პროვინციის ქრონიკა

ბათუმი. 1 დეკემბერს კერძო ვაჭრებმა გირვანქა პურს 30 მანეთად ყიდდენ. ამ დღეებში ქალაქის ფურნეებში გაჰყიდიან პურს გირ. 10 მანეთად. ქალაქს მხოლოდ რამდენიმე დღის საყოფი ფქვილი აქვს. 1 დეკემბერს ქართული ფულს დონის ფულთან შედარებით 70 პროცენტით მეტი ფასობდა.

ახალციხე. ახალციხის მაზრის ერობის ხმოსანთა პირველი ყრილობა დანიშნულია კვირას, 7 დეკემბერს შუადღის 12 ს. ქალაქის თვითმართველობის დარბაზში.

იუსტიციის სამინისტროში

კამერების დათვალიერება. ორშაბათს დეკემბრის 1 ს, იუსტიციის დეპარტამენტის მმართველმა გ. თ. ჟორდანიამ დაათვალიერა ქ. თფილისის ზოგიერთ მომრიგებელ მოსამართლეთა და სასამართლოს გამომძიებლების კამერები.

საქმის გარჩევა მომრიგებელ მოსამართლეებთან. იუსტიციის სამინისტროს წინადადებით, საქმის გარჩევა მომ

ებლ მოსამართლეთა კამერებში უნ იყებოდეს დილის სწორეთ 10 სა ზე, ხოლო კანცელარიები აუცილებ დ უნდა მუშაობდენ დილის 9 საათი ნ ნაშუადღევის 3 საათამდე.

კროკურორის დაბრუნება. დაბრუნ თფილისში ქ. ქუთაისში სამსა რის საქმეების გამო წასული თფი ილის სასამართლო პალატის პროკუ რორი მ. ა. ტატიშვილი.

დუშეთის ამბოხების საქმე. დუშეთის მბოხების საქმეზე შედგენილია ბრალ ების ოქმი სასამართლო პალატის პრო ურორის ამხანაგის ა. ი. ყანჩელის ერ. საქმე ბრალდების ოქმითურთ გა ეცა თფილისის საგანგებო სასამართ ოს.

შ. მაღლაკელიძის და სხვათა საქმე. ოფილ ადმინისტრაციის ინსპექტორის . მაღლაკელიძის და სხვათა საქმის ამოძიება დაამთავრა უდიდეს საქმეთა ამომძიებელმა მ. თ. ჯომარჯიძემ. საქ გადაეცა პროკურორის ნაწილს რალმდებლის ოქმის შესადგენათ.

დამფუძნებელი კრების კომისიებში

ბიუჯეტო საფინანსო კომისიას გა აეცა წინასწარ განსახილველათ და ემდეგ დამფუძნებელი კრებისათვის არმოსადგენათ: 1 ფინანსთა მინისტ. ანონ პროექტი ფინანსთა და ვაჭრობა რეწველობის სამინისტროს პროექტი ეკრეტისა სახაზინო რკინის გზის სა ენსიო კომიტეტისათვის 4,200,000 მ. ადებების შესახებ.

განათლების, ხელოვნების და საბიუ ეტო საფინანსო კომისიებს გადაეცა ანათ. მინისტ. პროექტი დეკრეტისა— სტორიულ და კულტურულ მნიშვნე ობის ძვირფასი ნივთების შესაძენათ ამუზეუმო თანხის დაარსების შესახებ.

იურიდიულ კომისიას გადაეცა იუს იციის მინისტრის პროექტი დეკრეტისა ასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა არმოების შეჩერებისა სოფლის მცხოვ რებლებზე შინაური საბუთებით გადა ულ მიწების შესახებ.

კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი

კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილის დროოდ გარდაცვალება მწარეთ დაა ონებს ყველა იმათ, ვისაც უყვარს ვენი ხელოვნება და მისი განვითარება წადია.

ძლივს ქართველმა ხელოვანმა თავი უფლათ ამოისუნთქა, პოლიტიკურათ თავისუფალმა საქართველომ ფართო სპარეზი გაუხსნა ხელოვანთ და შეძ ლება მისცა მათ თავიანთი შემოქმე ებითი ნიჭის ნაყოფი ფართო საზოგა ოებისათვის დაენახვებინათ. და სწო ეთ ამ დროს ჩვენ მუსიკოსთა მცირე რიცხოვან ჯგუფს თვალსაჩინო, ნიჭიერი წევრი გამოაკლდა.

ნ. სულხანიშვილი დაიბადა თელავის მაზრაში. მუსიკალური განათლება მიიღო თფილისის მუსიკალურ სასწავლებელში, სადაც მან ყურადღება მიიპყრო მასწავლებლების, როგორც ერთმა უნიჭიერესმა მოწაფემ. სასწავლებლის კურსი დაასრულა და მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი. იგი მიიწვიეს თფილისის სასულიერო სასწავლებელში გალობის მასწავლებლათ. საიდანაც ის „პოლიტიკური მოტივით“ დათხოვნილ იქნა.

ამის შემდეგ მოდის სოფლად და აგროვებს ხალხურ ეროვნულ და საეკლესიო კილო-ჰანგებს და ბრუნდება თფილისში. ფართე საზოგადოებამ გაიცნო სულხანიშვილი მსახიობ ვლ. ალექსი-მესხიშვილის იუბილეზე, სადაც ქართულმა მომღერალთა გუნდმა მის მიერ ამ ზეიმისთვის საგანგებოთ დაწერილი „მესტვირული“ შეასრულა, რამაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია საზოგადოებაში. წახალისებული კომპოზიტორი სთხზავს ახალ ახალ ნაწარმოებს, რასაც საზოგადოება ალტაცებაში მოჰყავს გასულ წელს. სულხანიშვილს აქვს დაწერილი დაუმთავრებელი ოპერა „პატარა კახი“, რომლის ნაწყვეტებსაც ხშირად ასრულებენ ქართველი მომღერლები და ალტაცებაშიაც მოყავთ მსმენელნი. ამ ერთი თვის წინად განსვენებული რკინის გზის გუნდის და კაპელის ლოტბარად მიიწვიეს, იგი სიამოვნებით დასთანხმდა ამ წინადადებაზე და შეუდგა კიდეც მუშაობას, მაგრამ ულმობელმა ბედმა არ დააცალა კომპოზიტორს შესდგომოდა თავის საყვარელ საქმეს. განსვენებულს სრულიად უსალსროდ დარჩა წვრილი ცოლშვილი. X.

ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობის სასწრაფო სხდომა შესდგა 3 დეკემბერს კ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას და ერთხმად დაადგინა: გაეგზავნოს განსვენებულის ოჯახს თელავს სამძიმრის დეპეშა და დაკრძალვის ხარჯები იკისროს საზოგადოებამ. განსვენებულის ოჯახზე მთელი მზრუნველობა მიიღოს თვით საზოგადოებამ. განსვენებული დაიკრძალოს თფილისში პანთეონში კვირას 7 დეკემბერს. დასასრულ არჩეულ იქნა დამკრძალავი კომიტეტი. გლოვის ნიშნად მოხსნილ იქნა საზოგადოების კონცერტები 3 დეკემბერს დანიშნული სახალხო სახლში, 4 დეკემბერს სახალხო უნივერსიტეტში და 8 დეკემბერს ქართული ოპერა სახალხო სახლში. საზოგადოების სახელით დეპეშები დაეგზავნა ქუთაისის, სოხუმის, თელავის, სიღნაღის განყოფილებათ და სხვადასხვა ორგანიზაციებს.

დამკრძალავ კომიტეტმა დაადგინა: გვირგვინების ნაცვლად მსურველთ სთხოვენ თავიანთი წვლილი ფულად შეიტანონ განსვენებულის ოჯახის და სახმარებელ თანხის შესადგენად. შეწირულებანი მიიღება 1) სამუსიკო საზოგადოებაში 10—2 ს. და 5—7 ს. და 2) წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში დღის 10 ს.—2 ნახ. ს. და საღამოს 6—7 საათამდე.

დღეს, 5 დეკემბერს, განსვენებულის კუბოსთან ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება პირველი პანაშვიდი.

საად.-მამულო რეფორმა

თფილისის მაზრაში

მიმდინარე დეკემბრის პირველში თფილისის მაზრის ერობის გამგეობის ბინაზე დ. ვ. ონიაშვილის თავმჯდომარეობით შესდგა თფილისის მაზრაში აგრარული რეფორმის გამტარებელი კომისიების თავმჯდომარეების, მდივნების და მიწის მზომელების საერთო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: მანგლისის, პრიუტის, ალბულაღის, დი მის, ავჭალის, თელეთის, სართიჭალის და საგარეჯოს წარმომადგენლები. ყრილობის მიზანი იყო წარსული მოქმედების გათვალისწინება და მომავალი მუშაობისათვის გეგმის შემუშავება. როგორც მოხსენებებიდან გამოირკვა, კატეგორიებათ დაყოფილი და შეფასებული, მცხოვრებთა შორის დასანაწილებელი მიწების სიები, ყველგან დამთავრებულია და წარდგენილია მიწათ-მოქმედების სამინისტროში დასამტკიცებლად, ხოლო ზოგიერთ ადგილას, მაგალითად, თელეთის რაიონში დ ნაწილება უკვე დაიწყო. უკანასკნელიდან წარსულ ნოემბერში შესულა თფილისის ხაზინაში 180,000 მ.

რეფორმის სასწრაფოდ გასატარებლად ყრილობამ სურვილი გამოსთქვა, რომ თანახმად მიწათ მოქმედების სამინისტროს დადგენილებისა, კომისიების მუშაობა ზამთრის სეზონში არ იყოს შეწყვეტილი იმ რაიონებში, სადაც ადგილობრივი და ბუნებრივი პირობები ხელს არ შეუშლიან ტექნიკურ მუშაობის წარმოებას.

ყრილობის აზრით ფონდის მამულების უმიწაწყლო მცხოვრებთა შორის სრული დანაწილება თფილისის მაზრაში ექვსი თვის განმავლობაში დამთავრდება.

ნიკ. გ.

უცხოეთი

რუსეთი.

დენიკინის „ზურგი“ გენერალ დენიკინმა შემდეგი შინაარსის ბრძანება გასცა: რუსეთის ჯარი თავგანწირულათ იბრძვის ფრონტზე რუსეთის და ხალხის საკეთილდღეოთ; ზურგში კი გავრცელებულია თავდაუჭერელი პოლიტიკანობა, სიცრუე, მექრთამეობა, ძარცვა გლეჯა, სპეკულიაცია და სხვ., რაც ანგრევს ყველა იმას, რასაც ფრონტი ქმნის. „ზურგში“ მოიპოვებიან ისეთი პირები და ჯგუფები, რომლებიც ხელს უწყობენ თავიანთი უმსგავსო აგიტაციით ფრონტის დაშლას. მოვუწოდებ ყველას—ჯარების უფროსებს, ჯარების ატამანებს, სახელმწიფო დაწესებულებათა მმართველებს, ჯარის „კრუგებსა“ და რადას მიიღონ სასტიკი ზომები ფრონტის გასაწმენდათ და გასაჯანსაღებლად.

უვარგის ნახშირის მიწოდებისთვის. გენ მაი-მაევსკიმ 9 ნოემბერს გენ. დენიკინს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: ფრონტზე მოგზაურობის დროს მე დავრწმუნდი, რომ რკინის გზას ნახშირის მაგივრად ნეხვი ეძლევა, რაც იმით აიხსნება, რომ დიდ ბოროტ მოქმედებას აქვს ალაგი ნახშირის მიწოდების დროს; ნახშირის ნიმუში ყოველთვის კარგია, ხოლო შემდეგ მოტანილი ნახშირი ყოვლად უვარგის ღირსებისაა. ვინაიდან ამას შეიძლება მოყვეს ბევრი კატასტროფები,—მე ბრძანება გავეცი, რათა დამნაშავენი უვარგის ნახშირის მიწოდება-მიღებაში გადაცემულ იქნენ სამხედრო სასამართლოს. დენიკინმა მაევსკის შემდეგი პასუხი გაუგზავნა: „ჩამოახრჩვეთ ყველანი შეუბრალებლად!“

მუშათა რაოდენობა საბჭოთა რუსეთში. ბოლშევიკების გაზ. „სევერნაია კომუნა“-ში მოთავსებული იყო ცნობები მუშათა მდგომარეობის შესახებ საბჭოთა რუსეთში. ამ ცნობების თანახმათ, რომელიც ამ გაზეთიდან გადაბეჭდეს უცხოეთის გაზეთებმა, ირკვევა, რომ 1919 წ. 1 აგვისტოსთვის რუსეთში (საბჭოთა რუსეთის 28 გუბერნიაში) ითვლებოდა 1.200,000 მუშა. თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას რომ ამავე ტერიტორიაზე 1918 წ. დასაწყისში 2.400,000 მუშა ითვლებოდა, ხოლო რევოლიუციამდე მუშათა რიცხვი 7 მილიონამდე აზწევდა,—ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ საბჭოთა მთავრობის ბატონობას მუშათა რიცხვის საგრძნობი შემცირება გამოუწვევია.

კონტრ-მზვერავების დაპატიმრება. გაზ. „ადერბეიჯანის“ ცნობით გენ. დენიკინის ბრძანების თანახმათ პეტროვსკში დაუპატიმრებიათ მიხაილისეთა კონტრ-მზვერავები. როგორც ამბობენ მათი ხელმძღვანელნი სამართალში იქნებიან მიცემულნი. დაპატიმრების მიზეზები საიდუმლოთ ინახება.

ინგლისი.

რუსეთის საკითხი თემთა პალატაში. გაზ. „ტან“ში შემდეგი ცნობებია მოთავსებული რუსეთის საკითხის შესახებ, რომელსაც სხვათა შორის შეეხო თემთა პალატა 5 ნოემბრის სხდომაზე. რუსეთის ბლოკადის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთავრობა განზრახ აწარმოებს რუსეთზე ეკონომიურ გავლენას, სანამ რუსეთში დემოკრატიული მთავრობა არ მოეწყობა, რომელსაც მოკავშირეები იცნობენ. ახალ კრედიტების გაღების შესახებ ჯარის შესანახავათ გაწეული ხარჯების დასაფარავათ დეპ. ვიდგოუდი კითხულობს: არის თუ არა ბრიტანეთის პოლიტიკა რუსეთში შეთანხმებული ანტანტის პოლიტიკასთან, და თუ არის,—რატომ კრედიტები მარტო ინგლისმა უნდა გაიღოს და არა სხვა მოკავშირე სახელმწიფოებმა? დეპუტატი კონტრ წინადადებას იძლევა სამხედრო ხარჯების შემცირების შესახებ. პოლკ. უარდი—მუშათა პარტიის ერთ ერთი წარმომადგენელთაგანი, და სამხედრო მინისტრი მომხრენი არიან, რათა დამტკიცებულ იქნეს ახალი კრედიტები. უარდმა სხვათა შორის განაცხადა: თვითეულმა ინგლისელმა, რომელიც კი დემოკრატს უწოდებს თავის თავს, უნდა დახმარება აღმოუჩინოს ადმირ. კოლჩაკს. სრული სიცრუეა ტკიცება, თითქოს კოლჩაკი რეაქციონერი იყოს. სამხედრო მინისტრის აზრით ინგლისი პასუხისმგებელია ახალ დაარსებულ სახელმწიფოების ბედის გადაწყვეტაში, რის დაცვაც მივიღეთ ჩვენ თავის თავზე, როგორც ხალხთა ლიგის ერთ ერთ წევრმა. ვიდგოუდის კონტრ წინადადება უარყოფილ იქნა 525 ხმით 52-ის წინააღმდეგ. მიიღეს წინადადება ახალ კრედიტების გახსნის შესახებ.

ასკვიტი ფინანსების შესახებ. ასკვიტმა გააკრიტიკა მთავრობის ფინანსიური პოლიტიკა და თავის მხრივ საჭიროთ აღიარა სხვადასხვა გადასახადების შემოღება. ასეთებია: შემოსავლის კვალობაზე გადასახადის გადიდება,—ან გადიდება გადასახადის ქონების მიხედვით, გადასახადი ზედმეტ მოგებაზე. მუშათა შესახებ ასკვიტმა განაცხადა: ერთი უეჭველია: მუშებს არ უნდათ დაუბრუნდენ ძველ ხელფასს და იმ მდგომარეობას, რომელშიაც ომამდე იყვნენ; ეს არ შეიძლება მათ მოეთხოვოს.

ამერიკა

მუდმივი ჯარის შესახებ. კონგრესისა და პალატის სამხედრო კომისიების შეერთებულ კრებაზე გენ. პერშინგმა განაცხადა, რომ საჭიროა შეიქნეს და გაძლიერდეს მუდმივი ჯარი იმდენათ, რომ სახელმწიფოს საშუალება ჰქონდეს მოულოდნელ თავდასხმის დროს თავი დაიცვას და აგრეთვე განახორციელოს თავისი დაპირებები კონტინენტზე. თავის სიტყვაში გენერალმა მოითხოვა ჯარის რეზერვების შექმნა და სამხედრო მეცადინეობის გაძლიერება.

რესპუბლიკანურ პარტიის ზრდა. გუბერნატორების არჩევნებში სხვადასხვა შტატებში რესპუბლიკანელებმა სრული დამარცხება არგუნეს დემოკრატებს. ირკვევა, რომ რესპუბლიკანელთა პარტია უკანასკნელ ხანებში ძალიან გაზრდილა.

გერმანია.

დამოუკიდებლები და ბოლშევიზმი. დამოუკიდებლების ორგანო „ფრაიჰაიტი“ სპარტაკელებზე [illegible] ქილების შესახებ [illegible] ეკონომიური [illegible] ტიკური პირობები, რომლებშიაც გერმანია იმყოფება, არ იძლევა ნიადაგს ბოლშევიკურ სპარტაკულ მეთოდების განხორციელებლათ. ჩვენ ნება გვ[ე]ქვს ვსთქვათ, რომ რუსული წრეგადასულობა დღემდე ყოველთვის რეაქციას ჰმატებდა ახალ-ახალ ძალას“.

საფრანგეთი.

ომის მსხვერპლის რაოდენობა. ოფიციალურ ცნობების თანახმად, რომელიც გაზ. „ტან“შია გამოქვეყნებული, 1914 წლის 1 აგვისტოდან 1918 წ. 11 ნოემბრამდე საფრანგეთს დაუკარგავს: დახოცილი და უგზო უკვლოთ დაკარგული—1,354,400 კაცი; ამათში 36,200 ოფიცერი და 1,318,200 ჯარისკაცი. დროებით ზავის შემდეგ ჭრილობისაგან გარდაიცვალა 600 ოფიც. და 28,000 ჯარისკაცი, რის გამოც მსხვერპლის რიცხვი 1919 წ. 1 ლ ივლისისათვის უდრიდა 1,383,000 კაცს. ომის დროს დაიჭრა 2,800,000 კაცი. ყველაზე უფრო სამძიმო იყო ომის პირველი 18 თვე, როდესაც საფრანგეთმა დაკარგა 941 ათასი კ. დახოცილი და ტყვეთ წაყვანილები.

ადერბეიჯანი

სპარსეთის მისიის ჩამოსვლა. პირველ დეკემბერს ბაქოში ჩამოვიდა სპარსეთის მისია სპარსულ გაზ. „რადი“-ის რედაქტორის სეიდ ზია-ედდინის თავმჯდომარეობით. მისიაში 12 კაცი შედის—სპარსეთის სამინისტროებისა და საზოგადო ორგანიზაციათა წარმომადგენელნი. დელეგაციის ჩამოსვლას კავშირი აქვს ადერბეიჯანსა და სპარსეთს შორის მეგობრულ განწყობილების დამყარებასთან. დელეგაციის დიდის ზეიმით შეეგებენ მთავრობისა და მუნიციპალურ დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

საემისიო უფლება. პარლამენტმა დაადგინა, მიეცეს მთავრობას საემისიო უფლება 600 მილ. მანეთის. ქაღალდის ფულის გამოსაცემათ.

ნავთეულობის დაგროვება. 191 წლის 1-ლ იანვრისათვის დაგროვილ ნავთეულობის რაოდენობა 100 მილიონ ფუთამდე იყო; ეხლა 230 მილიონს აღემატება. ყველაზე მეტი დაგროვილია გადაუმუშავებელი ნავთი.

იტალია

იტალია და ჩინეთი. გაზ. „ტრიბუნა“ში მოთავსებულია ინტერვიუ ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, რომელმაც შემდეგი განაცხადა: უკანასკნელ ხანებში დიდი მუშაობა სწარმოებს იმის შესახებ, რათა ჩინეთი დაუახლოვდეს ეკონომიურათ იტალიას, მისი

კახეთი

IV

მეკითხებიან ხოლმე: არის კახეთში ბოლშევიკური მიდრეკილება თუ არაო. მიუხედავათ იმისა, რომ კახეთი შეგნებით დაქვეითებულია, ბოლშევიზმი აქ ვერ ხეირობს, უკმაყოფილება კი დიდია.

კახეთში ნახავთ თქვენ ისეთ გლეხს, რომელსაც რამოდენიმე მილიონი შეძლება აქვს. ნაფარეულში ვიყავით ერთ გლეხთან გიორგი ხუციშვილთან, რომელსაც რვაასი მარტო ღორი ჰყავს და ოცდა თხუთმეტი კამეჩი. ასეთი გლეხი აქაურ სოფლებში, ნამეტურ ალაზანს გაღმა გამონაკლს არ შეადგენს. აქ ძალიან ბევრია ისეთი გლეხობა, რომელსაც სოფელშივე საკუთარის შრომით და ყაირათობით დიდი ქონება შეუძენია. სამაგიეროთ არიან ისეთებიც, რომლებსაც ცხოვრება უჭირთ. კახეთში ნახავთ ისეთ გლეხს, რომელსაც რამოდენიმე გუთნეული ჰყავს და სახნავ სათესი მიწა რამოდენიმე ათეული დესეტინა. დღეს ამათ ზედმეტი მიწა ერთმევათ.

სამაგიეროთ ისეთსაც ჰნახავთ, რომელსაც ერთი უღელი ხარიც არა ჰყავს და დღიური მიწა არ გააჩნია.

რა არის ამის მიზეზი?

კახეთში საკმაოა ტყეც, საბალახეც, სახნავიც. მაშ როგორ მოხდა, რომ უმიწაწყლო და უხარო გლეხებიც ურევიან აქ?

პური წინეთ მეტათ იაფი იყო. ამიტომ ზოგიერთი მარტო მევენახეობას მისდევდა, ხვნა-თესვას კი არა. ღვინოსა ჰყიდდა, ფქვილს ჰყიდულობდა და ოლათ გამოდიოდა.

დღეს პური ძალიან გაძვირდა და სწორეთ ის ნაწილი ღარიბი გლეხობისა, რომელიც თითო ოროლი დღიური ვენახის ამარა იყვნენ, მეტათ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდენ: ყოველისფერი ძალიან გაძვირდა და მარტო დღიური ვენახით ვეღარ გაწვდენ ოჯახის საჭიროებას.

ამ დღეს სოფლათ ისეთი მდგომარეობაა, რომ მდიდარი გლეხობაც უკმაყოფილოა, ღარიბიც.

ეს უკმაყოფილება არის აღმოცენებული ტყისა და მიწის საკითხის ნიადაგზე.

რომელ სოფელშიაც უნდა შეხვიდეთ, ყველას ფიჩხილა ხმელი, ნაყარი შეშა აკერია ენაზე: წინეთ ეს უფასოთ გვეძლეოდა და დღეს კი ფასს გვახდევინებთო.

მარტო კახეთში კი არა, ქართლში, იმერეთში, სამეგრელოში, რაჭაში, გურიაში,—ერთი სიტყვით მთელს საქართველოში გლეხობა მოითხოვს: ხმელი ფიჩხი და ნაყარი შეშა უფასოთ მოგვეცო.

გლეხობის ეს მოთხოვნა უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

გლეხისათვის ტყე იმდენათვე საჭიროა, რამდენათაც მიწა. ამიტომ ტყით სარგებლობა რაც შეიძლება გაადვილებული უნდა იყოს მისთვის. საბუდრის წკნელიდან მოყოლებული სახლის ხებამდე ყოველისფერი ტყიდან უნდა გამოიტანოს გლეხმა. უტყეოთ მას არსებობა არ შეუძლია. დღეს კი სხვადასხვა ნაჭარევი კანონებითა განკარგულებებით გლეხი მეტად შეზღუდულია და ტყისაკენ ფეხს ვერ გადაადგამს ისე, რომ ტყის დარაჯი არ დაუხვდეს წინ.

ტყიდან ხაზინას არა აქვს იმდენი სარგებლობა, რამდენიც სწორედ ტყის მცველებს, თან ხალხიც უკმაყოფილოა.

ასეთს პირობებში მექრთამეობას ვერავითარი საშუალებით ვერ მოსპობთ.

ეს რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ მას არ უნდა ვებრძოლოთ,—უნდა ვებრძოლოთ და სასტიკათაც ვებრძოლოთ, რომ შევასუსტოთ როგორმე. ამისთვის კი აუცილებელია, გლეხს გავუადვილოთ ტყით სარგებლობა იმდენათ, რომ ის ტყის მცველის კლანჭებში აღარ იყოს.

ნედლი მოსაჭრელი შეშა ჩემთვის არც ერთ სოფელში არ უთხოვიათ უფასოთ. გლეხობა თანახმაა, მოსაჭრელში ფასი გაიღოს, მხოლოდ დასძენს: ჩვენი საჭიროებისათვის თითო საჟენი შეღავათიან პირობებში მოგვეცეს და, ვინც მეტს გაიტანს, მას გასაყიდათ უნდა და ერთი სამათ, ერთი ოთხათ გადახდესო.

დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია კახეთში იმ გარემოებასაც, რომ გლეხებს პატარა ტყეებიც კი ჩამოერთვათ.

გლეხობის სურვილია, რომ მას ნორმაში მიეცეს იმ პატარ-პატარა საკუთარი ტყეებიდან, რომლებიც ყანებზე არიან მობმული.

დღეს სამინისტროში უკვე მუშავდება ამის შესაფერისი კანონ პროექტი და ნელნელა ბოლო მოეღება ყოველგვარ გაუგებრობას, უკმაყოფილებას.

თავისთავათ ცხადია ახალი სახელმწიფოს აშენების დროს ბევრი ნაკლი ექნება კანონსაც, ბევრ გაუგებრობასაც ექნება ადგილი, მით უმეტეს, რომ სოფელი ბევრგან შეუგნებელია და წვრილი მოხელე-მოსამსახურენი ხშირათ უღირსნი არიან. ყოველგან რომ საიმედო პირების ხელში იყოს სოფლის ცხოვრება, ამას რაღა აჯობებდა, მაგრამ ჯერ საქმე უნდა ვაკეთოთ იმ მასალით, რაც ხელთა გვაქვს,—სხვა გზა არ არის, ეს მასალა კი ხშირათ მეტათ საეჭვო ღირსებისა არის.

რომ მიუხედავათ ამისა საქმე მაინც არ დაზიანდეს, ამისათვის საჭიროა შეუწყვეტელი კავშირი სოფელსა და ქალაქს შორის. მთავრობა არ უნდა დაკმაყოფილდეს მარტო ბრძანებების დაგზავნით, არც მთლათ ერობაზე უნდა დაამყაროს მთელი თავისი იმედი. მთავრობა არის უმაღლესი პასუხისმგებელად სანამ ჩვენი ცხოვრება მტკიცე ნიადაგზე არ დამდგარა, მთავრობის პირები ხშირათ უნდა ევლინებოდენ სოფელს, რომ ადგილობრივ გაიგონ, რა ესაჭიროება ხალხს, რამდენათ შეესაბამება იმის ცხოვრებას, იმის შეგნებას, იმის საჭიროებას ესა თუ ის განკარგულება, რამდენათ სრულდება ადგილობრივათ მთავრობის ბრძანება და ნება, ან ვინ როგორ ასრულებს. ბევრი უსამართლობის გასწორება, გაუგებრობის გაფანტვა და დამნაშავეთა დასჯა ადგილობრივ შეიძლებოდა, ეს ხალხზე ახდენს მეტათ კარგ შთაბეჭდილებას. ვიმეორებ, ხალხი კახეთში ჩვენი მთავრობისა და რესპუბლიკის ერთგულია ისე, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეში, ხოლო საჭიროა, რომ ჩვენ ხალხს დავუახლოვდეთ რაც შეიძლება და ადგილობრივ შევისწავლოთ მისი საჭიროებანი, მისი გასაჭირი.

მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ ტყით სარგებლობის საერთო წესი ჩვენში არ გამოდგება; ის რაც კახელს დააკმაყოფილებს, სვანს ვერ დააკმაყოფილებს. ამიტომ ყოველი კუთხისათვის ადგილობრივი ცხოვრების, ტრადიციისა და ჰავის მიხედვით, საერთო გეგმის გარდა, განსაკუთრებული წესიც უნდა იყოს შემუშავებული. ამას კი წინ უნდა უძღოდეს ყოველი კუთხის ადგილობრივი პირობების შესწავლა.

კახეთის გლეხობაში უკმაყოფილება ტრიალებს აგრეთვე მიწის საკითხის გარშემო.

სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ მიწის მიმღები კომისიები საერთოთ ყველგან ზანტათ მუშაობენ ჩვენში. ამის გამო ეს ჩამორთმევა არ არის დასრულებული, არც კახეთში. ზოგან კომისია სჩადის უსამართლობას, რამდენიმე ნორმას უტოვებს ისეთს ოჯახს, რომელსაც არც კანონით და არც სხვა სამართლიანი მოსაზრებით ერთ ნორმაზე მეტი არ ეკუთვნის.

ასეთ უსამართლობას ალაგ-ალაგ კახეთშიაც ჰქონია ალაგი, მაგრამ აქ თელავის სამაზრო ერობა ენერგიულათ ადევნებს ყოველივე ამას თვალ ყურს და უსამართლობას კვალდაკვალ მისდევს.

დღეს საფონდო მიწები გლეხებსა აქვთ მიზომილი დასახნავათ და აი აქ ხდება დიდი უსამართლობა. ამ მიწებს სოფლათ ანაწილებს სოფლის მიერ არჩეული კომისია. ბევრგან ალაგი აქვს ნათელ მირონობას, მიკერძებას და მექრთამეობას. ვისაც მიწა სულ არა აქვს ან ძალიან ცოტა აქვს, მისთვის ან ცოტა მიუზომია კომისიას დასახნავათ ან სულაც არ მიუზომია ვისაც მიწა ბევრი აქვს, იმისთვის მეტი მიუზომიათ.

ბევრგან თავისი ნებით შესულა მდიდარი გლეხი იმ მიწაში, რომელიც ღარიბს ჰქონია მიზომილი და მოუხნავს ძალით. დაჩაგრული ეძებს სამართალს თემში, მილიციის უფროსთან, მაგრამ სამართალი არსად არის: მდიდარი გლეხის ფული, პური და ღვინო თავისკენა ჰხრის სამართალს.

თუ საფონდო მიწების დასახნავათ დანაწილების ნიადაგზე კახეთში ბევრგან დიდი უსამართლობა ხდება, ამაში ბრალი ედება სათემო ერობის გამგეობას. იქ, სადაც ეს გამგეობა თავის დანიშნულებას შეეფერება, საქმე შედარებით კარგათ მიდის. იქ, სადაც გამგეობაში ღირსეული პირები ვერ აურჩევია ხალხს, ნამდვილი ბაბილონის გოდოლია.

იქ, სადაც ხალხის შეგნება დაბალ საფეხურზე დგას, სასოფლო საქმეში ხალხი ხშირათ ირჩევს ისეთ პირებს, რომლებიც სოფლისათვის კი არა ზრუნავენ, არამედ საკუთარი კუჭისა და ჯიბისათვის.

პირველის შეხედვით გაუგებარია, რათ ირჩევს ხალხი ასეთ პიროვნებას. რომ მეორეთ მოახდინოთ არჩევნები, ხალხი ისევ ასეთ პირს აირჩევს.

ამის მიზეზი ის გარემოებაა, რომ ჩამორჩენილ კუთხეებში ხალხს ეშინია ზოგიერთა პირებისა და როცა საქმე არჩევნებზე მიდგება, იმათ წინააღმდეგ ვერ ბედავს წასვლას: გადამწვამს, მომკლავსო და სხვ.

ზოგიერთ სოფლებში ხალხი იმდენათ დაშინებულია, რომ ხმას არ იღებს, როცა ეკითხებით: მითხარით, რა გაწუხებსო, ან ვინ არის თქვენი შემწუხებელიო.

ასეთ შემთხვევებში ჩემთვის უთქვამთ ხოლმე: საჯაროთ ვერ გეტყვიან, რადგანაც ეშინიათო.

თვითმართველობა საუცხოვო რამ არის, მაგრამ ამისათვის ერთგვარი მომზადება, ცოდნა და განვითარება არის საჭირო. იქ სადაც ხალხს ყოველივე ეს აკლია, მარტო თემის გამგეობის ამარა არ უნდა დავტოვოთ სოფელი. მაზრის ერობის გამგეობას ფრთხილად უნდა ეჭიროს თვალყური და იცოდეს, იმის მაზრაში რომელი თემი როგორ უძღვება როგორც საერთოდ სოფლის საქმეს, ისე მიწის საკითხს.

კახეთში მოგზაურობის დროს მე და სოსო მაჭავარიანმა საჭიროთ დავინახეთ თან წაგვეყვანა თელავის სამაზრო ერობის გამგეობის წევრი ამხ. კოტე სებნიაშვილი, რომელიც აგრარული განყოფილების გამგეა. მარტო ერთ ენისელში იმდენი უსამართლობა და ძალმომრეობა აღმოჩნდა მიწის დასამუშავებლათ განაწილების საქმეში, რომ დილიდან დაღამებამდე ხსენებული ამხანაგი მარტო ცნობების შეკრებას მოუნდა. ამის შემდეგ ჩვენ მივიღეთ ყოველგვარი ზომა, რომ მიწები დასამუშავებლათ მიეცეს ღარიბ გლეხებს. ვინც უკანონოთ და უსამართლოთ მიიღო მიწა დასამუშავებლათ, იმას ჩამოერთვას. ვინც ძალით შევიდა სხვისათვის მიზომილ მიწაში და დახნა, ჩამოერთვას მიწა და გადაეცეს იმას, ვისაც მიზომილი ჰქონდა.

მარტო მაზრის ერობაც ვერას გახდება აქ, თუ მუდმივი კონტროლი არ იქნა სათანადო სამინისტროსი. საერთოთ როგორც ტყის, ისე მიწის საკითხის ნიადაგზე კახეთში დიდი არევ-დარევა და უსამართლობაა.

ღარიბი გლეხობა იჩაგრება და მიწით სარგებლობა ნამდვილათ შეძლებული გლეხების ხელშია.

ყოველივე ამის მიზეზი ერთის მხრით არის ხალხის შეუგნებლობა. მეორეს მხრით კონტროლის უქონლობა.

ჩვენ ხალხს ყველგან არ შესწევს იმდენი შეგნება და მომზადება, რომ თვითონ, საკუთარის ძალღონით მოაწესრიგოს თვისი ადგილობრივი საქმეები. ამიტომ ასეთ კუთხეებს განსაკუთრებით უნდა ადევნებდეს თვალყურს და ეხმარებოდეს მთავრობა.

კახეთის გლეხობა ყველგან ერთსა და იმავეს იმეორებს: სანამ მთავრობის კომისია არ მოვა და მიწებს საკუთრებათ არ დაგვიმტკიცებს, მანამდე ჩვენი საშველი არ იქნებაო.

ეს სრული ჭეშმარიტებაა. ჩვენს იქ ყოფნაში ეს კომისია უკვე მოვიდა.

სასურველია, რომ ამ კომისიებმა არ გამოიჩინონ მიწების მიმღები კომისიების სიზანტე და რაც შეიძლება დაჩქარებით დაამთავრონ ის საქმე, რომელიც განსაკუთრებით აღელვებს გლეხებს და რომელიც სთესავს ყოველგვარი უკმაყოფილებისა და არეულობისა სოფლათ.

იგ. გომართელი.

სიტყვებით ჩინეთში ბევრი მოიპოვება ნახშირი, დაუმუშავებელი რკინა, მაგნეზია, სპილენძი, ოქრო, ვერცხლი, ტყვია, ნიკელი და სხვ. მეორე მხრივ იტალია ნედლი მასალის დიდ ნაკლებობას განიცდის, რაც ადვილათ იქნებოდა შევსებული ჩინეთთან ეკონომიური დამოკიდებულების დაჭერით. უკვე შემუშავებულია პროექტი ჩინეთ იტალიის ბანკის დაარსების შესახებ. ჩინეთის სიმდიდრეთა გამოყენება შეუძლებელია, თუ არ იქნა გაყვანილი ახალი რკინის გზები, რომელთა რაოდენობა ამჟამათ მხოლოდ 6 ათას მილს უდრის; ამისთვის მინისტრის აზრით საჭიროა მოწვეულ იქნეს იტალიელი ინჟინრები და კაპიტალისტები.

თფ. სამ. ერობის 1 წლის თავის შესრულების გამო

4 დეკემბერს შესრულდა ერთი წლისთავი მას შემდეგ, რაც არჩეულ იქნა თფილისის სამაზრო ერობის გამგეობა. საერთო მთლიანი წარმოდგენის გამოსატანად ამ ერობის გამგეობის მუშაობაზე საჭიროდ მიმაჩნია აქ მოვიყვანოთ შემოსავალ-გასავლის ხარჯთ აღრიცხვა, რომელიც დამტკიცებული იყო იმავე ერობის ხმოსანთა მე 3 ყრილობაზე ამა წლის 30 ივნისს.

გასავალი. 1. მართვა გამგ. 699999 მ., 2. ადმინისტრატიული ა) განყოფილების შენახვა 67,200 მან., ბ) მილიცია 2832000 მ., გ) სატუსაღოები 63,000 მ., 3. სასამართლო 55,920 მ., 4. ტეხნიკური განყოფილება: ა) გზათა აღმშენებლობა 3 923.700 მ., ბ) სამელიორაციო ნაწ. 199,000 მ., ვ) სკოლების და სავადმყ. შენახვა-შეკეთება 100,000 მ., გ) გამგეობის სადგომი 165,000 მან., დ) მიმოსვლის ტრანსპორტი 829,500 მ., ე) ავტომობილების ხარჯი 283,000 მ., ქ) სახელოსნოები 630,800 მ., ზ) ტელეფონის ქსელი 185,600 მ., კ) განყ. შტატები და ხარჯები 524,400 მან., 5. სახალხო განათლება 2.128.750 მ., 6. მედიკო სანიტარული განყოფილება 1.174.000 მ., 7. საშეითლო 368,600 მან., 8. თანხების შესაქმნელად 400,000 მან., 9. სტატისტიკური განყოფილება 166,600 მ., 10. აგრონომიული განყ. 595,150 მ., 11. სასურსათო 8.100.000 12. აგრარული 136,800 მ., 13. სხვადასხვა ხარჯები 833,610 მან. სულ გასავალი 23.500.000 მ.

შემოსავალი 1) სხვადასხვა გადასახადები: მუხლი 1. 1919 წ. ერთდროული სახელმწ. გადასახ. 2 მილ. მან. 2. ქალაქებს გარეთ არსებულ სავაჭრო-სამრეწველო სახლების ღირებ. 2 პროცენ. გადასახ. 100.000. მუხლი 3. სამიტინო გადასახადი 120.000. მუხლი 4. 1920 წლის 1 იანვრიდან 1 თიბათვემდე მიწაზე გასაწერი გადასახადი 900.000 მ.; 2) ჯარიმები 10.000 მან. 3) შემოსავალი ქონებიდან და წარმოებიდან: მუხლი 1. მიმოსვლის საქმისაგან 760.000 მანეთი. მუხლი 2. სახელოსნოებიდან 480.000 მან., მუხლი 3. ავტომობილების შემოსავალი 265.000 მან., მუხლი 4. ერობის ხელში გადმოსულ მამულების 1.505.800 მან., მუხლი 5. სასურსათო ოპერაციებიდან 8.100.000 მან. 4) გადმოცემულ და გადმოსაცემ კრედიტებიდან: მუხლი 1. ადმინისტრაციისა (მილიცია) 2.320.800 მან.. მუხლი 2. სახალხო განათლებისა 994.260 მ., მუხლი 3. მიწად მოქმედების სამინისტრ. 72.000 მან. 5) სხვადასხვა შემოსავალი: მუხლი 1. გზების გასაყვანი ხარჯებისათვის 3.923.700 მ., მუხლი 2. გაწეულ ხარჯების დასაბრუნებლად: ა, საჯარიმო თანხიდან სატუსაღო სახლის მოსავლელად 29.000 მ:, ბ, ტელეფონის ქსელის ხარჯებისა 120.000 მ., დ, უბნის საექიმო ხარჯები 1,000,000 მ. საქონლის ჭირის დროს შრატისა და წვრილ ხარჯების ასანაზღაურ. 60.000 მან., ე, გზების გასაყვ. საქმიდან მართვა-გამგეობაზე გაწეულ ხარჯების ნაწილის ასანაზღაურ. 50.000 მ., მუხლი 3. მაზრაში აღებულ სავაჭრო-სამრეწველო მოწმობებიდან 5.000 მ., მუხლი 4. საპენსიო ფონდში გადასულ მოსამსახურეთა ჯამაგირების 3 პროც. 150.000 მ., მუხლი 5. სხვადასხვა შესაძლებელი მოსალოდნელი შემოსავალი 445.440 მანეთი. 6) დეფიციტის დასაფარავად *) 1.000.000 მანეთი, სულ შემოსავალი 23.500.000 მანეთი.

ოდესის საქართ. საკონ. ლიკვიდაციის გამო

1 დეკემბერს საგარეო საქმეთა სამინისტროში წარდგენილ მოხსენებიდგან, თავის წლიურ მოქმედების შესახებ, ირკვევა საკონსულოს მრავალ ფეროვანი და ფრიად ნაყოფიერი მოღვაწეობა.

მოხსენება ნათლად ჰფენს იმ გარემოებას, რომ საკონსულო, რომელმაც თავისი მოქმედება დაიწყო 1 სექტემბრიდან 1918 წ. და შესწყვიტა 1 სექტ. 1919 წ. მოხალისეთა ჯარის სარდლობის განკარგულების გამო, იცავდა არა მარტო საქართველოს, არამედ ყველა ქვეყნის მოქალაქეთა ინტერესებს.

ის ფრიად საგრძნობი ხარჯები, რომელიც საკონსულოს მოუვიდა, უმთავრესად გამოწვეული იყო სამხედრო ტყვეების სამშობლოში გადაგზავნით.

საკონსულომ თავის ხარჯზე სამშობლოში გადაიყვანა 8,281 სამხედრო ტყვე. ამასთან თვითეული ტყვე იცდიდა „ეტაპში" არა უმეტეს 5 დღისა, მხოლოდ უკანასკნელ პარტიას, გადაყვანის მოლოდინში, მოუხდა ცდა ეტაპში 5 თვე. ტყვეები ეტაპში სარგებლობდენ ბინის გარდა, ჩაით, საჭმელით და სხ. ეტაპთან არსებობდა აგრეთვე მედიკური ოკოლოტკა, სადაც იყვნენ ექიმი, მოწყალების დები და სანიტარები. ავათმყოფობას ადგილი არ ჰქონია. ქართველი ტყვეები ორჯერ იქმნენ გადაყვანილნი გემებით თავის სამშობლოში. სულ დაიხარჯა 745,789 მან. 32 კ.; ე. ი. საშუალოდ თვითეულ ტყვეს გადაყვანა დაჯდა 90 მან. მრავალი ხარჯები წაიღო აგრეთვე გემ „ძმ. თეოფანიძეების" შენახვამ. ეს გემი, რომელიც რესპუბლიკის კუთვნილებას შეადგენს, იმყოფებოდა საკონსულოს ზედამხედველობის ქვეშ, იმიტომ, რომ გემის მოიჯარადრემ ამშმარიაშვილმა მიატოვა გემი უპატრონოდ. ეხლა კი ამ გემს რეკვიზიცია უყო მოხალისეთა ჯარმა. მისი შენახვა დაჯდა 1918 წ. დეკემბრიდან 1919 წ. სექტემბრამდის 149.987 მ. 67 კ. დიდი დახმარება გაუწია, როგორც საქონლის გაცვლა-გამოცვლის ნორმირებების საქმეში აგრეთვე ბოლშევიკებისაგან მრავალ მილიონ საქონლის გადარჩენაში,—ეკონომიურმა საბჭომ რომელიც საკონსულოსთან არსებობდა, პოლკ. ა. ბ. ხიტიას მეთაურობით ეკონომიური საბჭოს შენახვა საკონსულოს ერთი კაპეიკიც არ დასჯდენია, პირიქით, თვით საბჭომ საკონსულოს კასაში შემოიტანა 183,590 მ. საკონსულოს შენახვა დაჯდა 301 ათასი მანეთი, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში საკონსულოს შემოსავალს 49,352 მან. და აგრეთვე ეკონომიურ საბჭოს მიერ შემოტანილ 183,590 მ., მაშინ გამოდის, რომ საკონსულოს შენახვა დაჯდა 70 ათასი მან. საკონსულომ გახსნა აგრეთვე სასადილო, რათა შეემსუბუქებია მდგომარეობა იმათთვის, ვინც დაზარალდა ბოლშევიკებისაგან. სასადილოს კომისიაში შედიოდნენ კიევის ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე მ. ე. ბიბინაშვილი, კიევის კონსული ბრეგვაძე და პოლკ. დ. ზ. ჭავჭავაძე. ფულის წლიური ტრიალი უდრიდა 1 მილიონ მანეთს. კომისია სადილს აძლევდა მაქალაქეთ 30 მან. პურით, როდესაც 1 გირვ. პური ფასობდა ქალაქში 100 მ. ხშირათ ღარიბები სრულიად უსასყიდლოთ სარგებლობდნენ სადილით.

ამას გარდა საკონსულომ უცხოეთის მოქალაქეთ დაეხმარა ფულით: შვეციის მოქალაქეთ—500 მ., შეერთებულ შტატებს—400 მ., შვეიცარიის—800 მ., მოსმალეთის—100 მ., მთის რესპუბლიკის—600 მ., იაპონიის—500 მ., რუმინიის—900 მ., გერმანიის—21,245 მ., საბერძნეთის—8510 მ., ფინლიანდიის—1250 მ., ბელგიის—7840 მ., პოლონეთის—19,660 მ., იტალიის—17,440 მ. აზერბეიჯანის—13,225 მ., დიდი ბრიტანეთის—83,120 მ., საფრანგეთის—60 344 მ., სომხეთის—70,700 მ, საქართველოს —93 196 მ., (შენახვა) და 113,615 მ. (სესხათ).

---

*) ეს ფული არ იქნება გაწერილი მცხოვრებლებზე, არამედ ანაზღაურდება საკუთარ საწარმოვო თანხებიდან.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 27 ნოემბერს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება თფილისის კომიტეტიდან, 2) ავლაბრის რაიონში იაფ-ფასიანი სასადილოს გახსნის შესახებ. 3) გაზეთების გამავრცელებელი კომისიის არჩევა. 4) კომისიის მოხსენება. 5) ვლ. წერეთლის განცხადება.

1) თფილისის კომიტეტიდან მოხსენება კოლექტივს არ მოუსმენია, ვინაიდან კომიტეტის სხდომა არ შედგარა. 2) ავლაბარში იაფ-ფასიანი სასადილოს გახსნის შესახებ კოლექტივმა იქონია მსჯელობა, მოიწონა ქალაქის თვითმართველობაში შრომის განყოფილების გამგის ამხ. ათაბეგოვ-ტუმასის მიერ მოწვეულ სხვადასხვა ორგანიზაციების სხდომაზე მიღებული გეგმა და გამოსთქვა სურვილი, რაც შეიძლება ახლო მომავალში იქნეს გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები სასადილოს გახსნის შესახებ. 3) კინემატოგრაფის დადგმის შესახებ კოლექტივმა დაავალა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას მოილაპარაკოს ამხ. გ. გალუსტოვს რათა კინემატოგრაფი სასწრაფოდ იქნეს დადგმული. 4) გაზეთის გამავრცელებელი კომისიის არჩევა. კოლექტივის სხდომაზე გამოირკვა, რომ ყოფილმა კომისიამ, რომელიც ამ მიზნისთვის იყო არჩეული სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ შეასრულა მოვალეობა, ამიტომ კოლექტივმა აირჩია ახალი კომისია, რომელსაც ევალება გაავრცელოს „ბანვორი ძაინი" და „მუშათა ცხოვრება". 5) საბიბლიოთეკო კომისიის წევრი ამხ. დ. ჩუთლაშვილი კოლექტივს აცნობს, რომ მან შეკრიბა 400 მანეთი და 80 ცალი წიგნი სახალხო უნივერსიტეტის მომავალ წიგნთ საცავ სამკითხველოს სასარგებლოდ. ვლ. წერეთლის განცხადებით კოლექტივს ემცნო, რომ სამხედრო სასურსათო მაღაზიის წისქვილში შესდგა პარტიული „იაჩეიკა" რომლის წარმომადგენლად ამხ. წერეთელი იგზავნება კოლექტივში. ამის შესახებ კოლექტივმა დაავალა ოლ. ბაქრაძეს, დ. ჩუთლაშვილს და ნ. ბედინაშვილს, 30 ნოემბერს დილით წისქვილში გააკეთონ მოხსენება პარტიულ მუშაობის შესახებ.

„მირის" ქარხნის მუშების შესახებ კოლექტივმა მოისმინა მოხსენება ამხ. კ. მელქუმიანცისა და დაადგინა შემდეგი: საჭირო და აუცილებლად მიაჩნია კოლექტივს ყოველი მოლაპარაკება, პრ. კავშირისა და „მირის" მუშების კომისიის, სადაც კოლექტივიდან შედის როგორც კომისიის წევრი, ამხ. ის. ხუციშვილი, ისე კ. მელქუმიანი, თითეული გადადგმული ნაბიჯი ამ კომისიისა პროფ. კავშირისა და „მირის" მექარხნეებისა იცოდეს კოლექტივმა. დასასრულ მოისმინეს იქნა მოხსენება არამიანცის სავათმყოფოდან, სადაც ზედამხედველის თანაშემწის ბინაზე აღმოუჩენიათ ნაპარავი საქონელი სავადმყოფოს საკუთრება, დაახლოვებით 20,000 მანეთათ ღირებული.

ვერხვი.

თფილისის საქონლის სადგური. 29 ნოემბერს შესდგა თფ. რკ. გზის საქონლის სადგურის სოც.-დემ. ორგანიზაციის კრება ნ. ჯიბლაძის თავმჯდომარეობით. გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუციები 1) პარტიული მუშაობის შესახებ იქნას გააიკეცებული მუშაობა ორგანიზაციის გასაძლიერებლად, უდისციპლინო წევრებისაგან გაიწმინდოს პარტია, რომელთაც მხოლოდ პარტიული წიგნები აქვთ და სრულიად არ აინტერესებთ პარტიის ბედ იღბალი, აგრეთვე თხზავენ ჭორებს რაიც ამხანაგთა შორის იწვევს კინკლაობას. 2) მიღებულ იქნას ყოველივე ზომები სადგურში გაზეთ „ერთობის" ტირაჟის ასაწევათ. 3) მოისმინა რა კრებამ ამხ. დ. ქილნტის მოხსენება ჩოხატაურში ყაჩაღ-კომუნისტების გამოსვლის შესახებ, წადლობას უძღვნის მათითეშვილს თავის რაზმით, სახალხო გვარდიას და ჯარის კაცებს ენერგიული ზომების მიღებისათვის ბანდიტების ასალაგმავათ და მიზან შეწონილათ სოვლის მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს უპასუხისმგებლო პირების გასამართლებაში. ქება და სახელი მტრის ტყვიით გულ-განგმირულ ამხანაგებს. 4) დაევალოს მუშათა პროფ. კავშირის გამგეობას იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა აუცილებლათ ალაგზე დაუშვან ადგილობრივი მილიციის უფროსის მიერ დათხოვნილი ორი ყარაული ქორდანია და უჯმაჯურიძე, რომლებიც უბრალო კაპრიზით არიან დათხოვნილნი. გან—ცანი.

მუშათა შორის

ორთაჭალის დემოკრატიული კლუბი. კლუბი თანდათან ცოცხლდება. აქ უკვე შესდგა ქართული სცენის მოყვარეთა დასი: რეჟისორათ ჯერ-ჯერობით მსახიობი ი. ქივიძე არის მიწვეული. დასი სეზონს კვირას, 7 დეკემბერსა ხსნის ა. ცაგარლის პიესით—„რაც გინახავს, ველარ ნახავ!" ამ კლუბს ცოტა არ იყოს სცენის მოყვარეთა ნაკლულოვანება ეტყობა,—სასურველია რამდენიმე მუშა შევიდეს სცენის მოყვარეთა წრეში და მით სცენის მოყვარეებს ხალხისადმი სამსახური გაუადვილოს!

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კლუბის გამგეობას გადაუწყვეტია კლუბში სამკითხველოს დაარსება და გაზეთების გამოწერა..

იმედია ამ უბნის ახალგაზრდობა და ყველა მუშები მეტ ენერგიას გამოიჩენენ და წლევანდელ საქმიანობით დაჰგმობენ შარშანდელ უსაქმურობას!

ბრწყინვალე გამარჯვებას ვუსურვებთ ყველა მათ, რომელნიც ახალგაზრდებს ხალხის გათვითცნობიერებისაკენ უხმობენ! ბედურა.

ავლაბარი. 30 ნოემბერს ავლაბრის მუშათა კლუბში, მსახიობი დ. ჩარკვიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა შილერის ტრაგედია „ყაჩაღები".

მთავარ როლებს ფრანცის და კარლოსის დ. ჩარკვიანი ასრულებდა. ორივე როლში ერთი და იგივე ხმა. იგივე მიხვრა მოხვრა... ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებდა მაყურებლებზე.

დანარჩენი სცენის მოყვარეებიც ძლიერ მოიხუსტებდენ, როლის უცოდინარობა, პიესის გმირთა შეუგნებლობა, ავტორის სიტყვების გადამახინჯება. აი რა სუფევდა ამ დღეს სცენაზე. რეჟისორი ვალდებულია ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიაქციოს და თუ არსებულ სცენის მოყვარეთათვის შეუძლებელია დაძლევა ასეთ რთულ პიესის, არც უნდა მოჰკიდონ ხელი. იმედი გვაქვს რეჟისორი ჩარკვიანი მიიღებს ზომებს და შეეცდება სათანადო სიმაღლეზე დააყენოს ავლაბრის თეატრის საქმე. დამსწრეთაგანი.

პროვინცია

მუხრანი. (დუშეთის მაზრა). არ იქნა, ვერ ვეღირსეთ თემის თავმჯდომარეს. ადგილობრივ ხმოსნებში არ მოიპოვება კაცი, რომელსაც შეეძლოს თავმჯდომარეობა. სამაზრო ერობის გამგეობას ბევრჯერ ვთხოვეთ, რომ გამოეგზავნა თავმჯდომარე, მაგრამ დღემდის არსად სჩანს. სარაიონო საქმეები მუხრანში ძლიერ აწეწილია, ადმინისტრაცია, სკოლა, გზები და სხვა შინაური წვრილმანი საქმეები უპატრონოთ არის მიტოვებული. ამ სოფელში მცხოვრებლები არიან ქართველები, სომხები და ურიები. ბნელი ძალები დადიან ხალხში და ავრცელებენ ბოროტ ხმებს, რომ ამ სამ ძმებს შუა უთანხმოება და შური ჩამოაგდონ. არ არის სოლიდარული ძმური მუშაობა მათში, რაც ყველა შეგნებული პირთათვის სატირალია. ხალხი ძლიერ დაჩვეულია ქეიფებს, მოკვდება ვინმე თუ არა, აუცილებლათ გამოთვრებიან; სადგურ ქსნიდან მუხრანამდის გზები ისე გაფუჭებულია, რომ. თუ არ შეკეთდა, მიმოსვლა ადრე შეწყდება. ზოგიერთი ვაჟბატონები ღამით ქუჩა-ქუჩა დადიან, ხშირად ისვრიან (მაშინ, როცა სამხედრო წესით გამოცხადებული მაზრაში). ალაზმა უწყის რას არ სჩადიან, დალეწეს და გაანადგურეს სკოლის ეზოს კარები. პასუხის გამცემი კი არავინ არის.

შეგნებული ელემენტები მუხრანისა სდუმან, ვერ ალიარებენ სიმართლეს, ეშინიათ იმ შავი ძალებისა, რომლებსაც კავშირი აქვთ შეგნებულ მასასთან.

ადგილობრივ სარაიონო შტაბშიც კინკლაობაა. ყველას თავმჯდომარეობა—მბრძანებლობა უნდა და ამსრულებელი ბრძანებისა არავინაა.

მიხელისშვილი.

დ. აბაშა. აბაშა ერთ საუკეთესო დაბათ ითვლება სამეგრელოში. მას აკრავს ირგვლივ დიდი ძალი მჭიდროთ დასახლებული სოფლები; აგრეთვე სამეგრელოს მნიშვნელოვანი რაიონები—ბანძა ნოღალევის ეკონომიურათ აბაშასთან არიან დაკავშირებული.

ამრიგათ, აბაშა წარმოადგენს ამ რაიონის კულტურულ და ეკონომიურ ცენტრს და ამით აიხსნება, რომ აქ თავს იყრის მრავალი კულტურული და ეკონომიური დაწესებულებები, როგორიც არიან: გიმნაზია, უმაღლეს დაწყებითი და ორ კლასიანი სასწავლებლები, სამკითხველო, კოოპ. კავშირი, კოოპერატივი, გვარდიის შტაბი, სასამართლო, სავათმყოფო და სხ. დაწესებულებაც.

დღიდან დაბის დაარსებისა, მას ხელმძღვანელობდენ ადგილობრივ ვაჭრებისა და ხელოსნების მიერ არჩეული ეგრეთწოდებული დეპუტატები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ისინი ძალიან ნაკლებათ ზრუნავდენ დაბის სასარგებლოთ.

რევოლიუციის პირველ დღეებში იყო ცდა აბაშის ქალაქად გადაექციათ და საკუთარი თვითმართველობა დაეარსებინათ, მაგრამ ეს ცდა სხვადასხვა მიზეზების გამო მივიწყებულ იქნა და აბაშა ისევ ძველ პირობებში დარჩა. წვრილი ერთეულების შემოღების შემდეგ როგორც ყოფილი ნაწილი დაბა დარჩა კვათანის საზოგადოების ფარგლებში და დაექვემდებარა კვათანის თემის ერობას. ერობა ისედაც დიდ კვათანის საზოგადოების (8 თუ 10 სოფელი) ვერ გასწვდა და დაბა კი დღეს დღეობით სრულიად უყურადღებოთ არის მიტოვებული. მართალია, ერობაში დაბიდან შედის ორი თუ სამი ხმოსანი, მაგრამ აშკარაა 45 ხმოსანში ყოველივე მათი ცდა უნაყოფო რჩება. ამჟამათ ყოველივე დაბის შემოსავალი კვათანის საზ. სოფლის საჭიროებებს ხმარდება (ხმოსნების დადგენილებით) იმ დროს, როდესაც თვით დაბაში აურაცხელი საქმეებია გასაკეთებელი; და ეს სხვა რომ არა იყოს იმ მხრითაც უსამართლოდ უნდა ჩაითვალოს, რომ მთელი რაიონიდან შემოსული ფულით ერთი კუთხე სარგებლობს.

ყველა აქედან აშკარად სჩანს, რომ დაბა ამ ჟამად მეტად ცუდ პირობებში არის და ამ პირობებში დარჩენა მის დაქვეითებას, დაუძლურებას მოასწავებს. და აშკარა არის, ცენტრის დასუსტებას თან სდევს პერიფერიების დასუსტებაც. ამას უნდა მიექცეს ამ თავითვე ჯეროვანი ყურადღება ვისგანაც ჯერ არს და დაბა აბაშისთვის, როგორც ცალკე ერთეულისათვის მიჩნეულ იქნას საკუთარი პატრონი, რომელსაც უნდა ჩაბარდეს დაბის სვე ბედი, რომელიც გაუწევს შესაფერ ზრუნვას დაბის აღორძინების და აყვავების საქმეს. სასურველი იქნებოდა თვითმართველობის შემოღება შეკვეცილი უფლებებით ან და ისევ [illegible] დეპუტატების არჩევა ფართე უფლებებით.

ე—ნი.

ქიზიყი. ეს მხარე ერთ ჩამორჩენილ კუთხეთაგანია. აქაური ხალხი მეურნეობას მისდევს, მხოლოდ მიწის დამუშავება ძველი წესით სწარმოებს. აუცილებლად საჭიროა დაარსდეს სამეურნეო სასწავლებელი, რომლისთვისაც შენობა და ალაგი მზათ არის, ეს არის ჩოლოყაშვილის სახლი, რომელიც დღეს სიღნაღის ერობის ხელშია. იმედია მთავრობა ყურადღებას მიაქცევს ხალხის თხოვნას და მიიღებს ზომებს დროზე გაიხსნას აქ სამეურნეო სასწავლებელი.

თომა მჭედლიშვილი.

ფრონტისათვის

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ანგარიშს „ფრონტის დღეებისას", რომელიც მოაწყო ხაშურის რაიონის ფრონტის დამხმარე კომიტეტმა და რომლის ანგარიში ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო დღევანდლამდე არ იყო გამოცხადებული. ამასთან ერთად ნება მოგვეცით თქვენის გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა ვუძღვნათ ყველა იმ პირებს, ვინც მონაწილეობა მიიღო „ფრონტის დღეების" მოწყობაში და ფულით ან შრომით თავისი წვლილი შეიტანეს ამ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო დღესასწაულში

შემოსავალი: ყულაბებიდან და ყვავილების გაყიდვიდან შემოვიდა 9306 მ., ლატარეა ალეგრიდან 6135 მ, ბუფეტიდან შემოვიდა 17,750 მან., ხაშურის ვაჭრებმა შემოსწირეს 10,000 მ., სეირნობიდან და წარმოდგენებიდან 3235 მ., 50 კ. სადგურ გორის დრამატ. წრემ შემოსწირა 2911 მ., აუქციონიდან შემოვიდა 410 მ., შემოვიდა შემოწირულებანი (სადგურის ბუდკების, საპარიკმახეროს მოიჯარადრეებიდან და სხ. 460 მ. სულ 50,207 მ. 50 კ.

გასავალი: ბუფეტისათვის დაიხარჯა 12,862 მ. 70 კ., ლატარეა ალეგრისათვის 1,073 მ, აფიშების და ანონსებისათვის 420 მ., წვრიმალი ხარჯები (ქაღალდი ბარათებისთვის, კანაფი, ნავთი და სხვა) 488 მან., სხვადასხვა პირებს სამსახურისთვის მიეცა 180 მან. სულ 15,023 მ. 70 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 35,183 მ. 80 კ.

ხაშურის რაიონის ფრონტის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე ინჟინერი კ. ძნელაძე მდივანი ნ. ხიხარულიძე.

განცხადებანი

ვერის დაღმართზე
იყიდება
მაღაზია № 29
იქვე არის ოთახიც. (3182—1—1)

იყიდება
შემთხვევით 80 კვ. საჟ. მიწა ვაკეზე, სემინარიის ახლოს.
საჭირო ცნობებისათვის მიმართეთ: არმიანსკი ტუპიკში, № 10.
(3183—6—3)

ექიმი ნ. დ. [illegible]
იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 1—2 და საღ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 8—9.
მისამართი: ნიკოლოზის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს.
(თ.—3023)

ექიმი ბ. დ. [illegible]
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606" და „914". მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოვ[illegible] [illegible] № 116. ტელ. 14—28

ექიმი ლ. შ. [illegible]
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავადმყოფთ დილით 8—9 ს-დის, [illegible] № 34 [illegible] ტელ. 14—90. (ტ.—286)

ოზურგეთში ექიმი ს. შ. აბაშიძე
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან სნეულებების, ფილტვების, გულის, კუჭის და [illegible]ბის. ჰლექის ექიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაციდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით, ქ. სიმაიშვილის სახლში. (კუპ. 58

ექიმი ქ. ტუშმალაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5— საათამდე. (2925)

ექიმი [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

ექიმი ლ. ბ. ხარაძიძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6— საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 8 ავჭალის მუდიტორიის ახლო.

ექიმი ქალი რ. ბ. [illegible]-ხაბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ [illegible] კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა (606—914) დილით 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—28

ექიმი ქალი ე. ს. ბებურიშვილი.
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28. (თ. 3065).

ექიმი ა. [illegible]
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით ექიმობს გულის, ფილტვების, [illegible] და ჰაჰების ავათმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № [illegible] გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—6 საათამდე. (თ. 2642)

ვაგზლის კერძო სამკურნალო
(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)
ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.
ექ. ვართანოვი—ვენერ. და კანის სნ. ყოველდღე 1—2.
ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და სააკუშერო ყოველ დღე 10—11.
ექ. ქალი იოხელიანი ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.
ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.
ექ. ტუზურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.
რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით. „606" და „914".
(2930—თ.)

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.
შინაგანი სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, მისამართი ანდრეევის ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი [illegible]
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11 (ზემელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

ქალ. სამტრედიაში
ექიმი ი. ი. ჭეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606" და „914") ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

მიწად-მოქმედ. სამინისტ. სასოფ. მეურ. განყოფ.
სჭირია ქართულ მანქანით გამოცდილი მომუშავე
საჭიროა რუსულ მანქანით მუშაობაც.
თხოვნები მიიღება ამ თვის 6-მდე. გამოცდა საღამოს 5 საათზე. (3185—1—1)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ „სორაპანი"-ს მიერ
გამოცემული
1920 წ. კედლის— სახალხო— მოძრავი— კალენდარი
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ. უჯრედები დალაგებულია ახალ სტილზე [illegible] ლისტრატე ცინცაძის მიერ. კალენდრებში სუყველა დღესასწაული უქმე დღეები დაბეჭდილია წითელი საღებავით. კარდონი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში შვიდ ფერი საღებავით.
მისამართი: თფილისი, სტამბა „სორაპანი" მ. გაჩეჩილაძე. (4150—5—3)